ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ყოველ მეორე სამშაბათს. №11 (1783) 8-21 ოქტომბერი, 2002

## ს ა რ ჩ ე ვ ი

● „ელექტრო ენერგიის ტარიფის ზრდა არ შეწყდება, ვიდრე მთელი ენერგეტიკა უცხოელების ხელში არ გადავა" მე-2 გვ.



● «ბოროტების სათავე ანუ როგორ შეთითხნეს მეგრელთა საქმე» მე-6-8 გვ.

● სენსაციური სათაურები... მუქთად! მე-7 გვ.

● შევარდნაძის რუსეთის აგენტობას ისიც ამტკიცებს, რომ დღესაც არ წამოსცდება ოფიციალურად, აფხაზეთში რუსეთი გვეომაო მე-3 გვ.



● ოჯახი რომ ბედნიერი იყოს... მე-7 გვ.

● ერაყი _ შიშთა და ინტერესთა კვანძი

● „ოსური მხარის კრიმინალებთან ქართული მხარის კრიმინალების და ე. წ. „კაი ბიჭების" ალიანსის არაერთი ფაქტი ფიქსირდება" მე-6 გვ.

## «პუტინის სიგიჟე»



კარიკატურა მურთაზ აბაშიძისა

**მკითხველთა საყურადღებოდ!**
**გაზეთი გამოდის ორ კვირაში ერთხელ**

## შემაძრწუნებელი სიმართლე რუსეთში ექსტრადირებული ჩეჩენი პატიმრების შესახებ

„4. 04 საათიდან 12 საათამდე პატიმრები პირქვე დამხობილები გააჩერეს მანქანაში, უჭმელად და უტუალეტოდ;

5. პატიმრების გადაცემა მოხდა მათი ბრალეულობის დამტკიცების გარეშე. ყველას ერთნაირად ჰქონდა მიწერილი „5 რუსი სამხედრო მოსამსახურის მოკვლა და 6-ის დაჭრა";

6. დარღვეული იყო რუსი გამომძიებლების მიერ საქართველოში მყოფი პატიმრების ამოცნობის პროცედურა. მათზე რუსეთის მხრიდან წარმოდგენილი „საქმეები" ეხებოდა სხვა პირებს, არარსებული სახელ-გვარებით. მათი ნამდვილი სახელ-გვარები რუსეთის მხარის მიერ წარმოდგენილ მასალებში არ ფიგურირებდა. საქართველოში მყოფი ჩეჩენი პატიმრების სურათები და სახელები და გვარები რუსეთის მხარეს გადასცა მხოლოდ საქართველოს მხარემ. მათი სურათები, რომლებიც საქმეშია, გადაღებულია თბილისის ციხეში. არავითარი კომპრომატი გადაცემული პატიმრების შესახებ რუსეთის მხარეს არ წარმოუდგენია ზემოხსენებული აშკარად ყალბის გარდა და არც ჰქონდა გადაცემის მომენტში..."

მე-3 გვ.

# К БРАТЬЯМ ГРУЗИНАМ!

Сегодня в Грузии под стражей находятся тринадцать безвинных чеченских парней, сдавшихся ее властям при переходе российской-грузинской границы.

Россия, состряпав в отношении них фальшивые обвинения, стремится забрать их любой ценой для кровавой расправы. Международное право в подобных случаях требует суда над виновными лицами на территории их задержания. Русских же такое решение не устраивает, так как у них отсутствует доказательная база.

Российской стороной прилагаются все усилия к тому, чтобы заполучить "виновных лиц", вплоть до устрашения Народа Грузии и ее Руководства. Однако, этому не бывать, так как они полны решимости придерживаться существующих норм Международного права, видя в таком решении и гарантию суверенности своего государства.

Силы зла и насилия России, пытаются сегодня сбить древнюю и величественную Грузию с верного пути, толкнув ее на путь предательства и братоубийственной войны.

Мы, чеченские беженцы, находящиеся третий год на территории Грузии, переживаем за происходящее в ней в двойне, и потому призываем Вас, Всех, не верить измышлениям России. Не дайте себя обмануть! Нам всем осталось до хороших времен совсем немного!

2.10.2002

# НЕ ОТДАВАЙ МЕНЯ МАМА!

Не отдавай меня Росии, Грузия!
Злой мачехе не отдавай.
Напои лучше вином из квеври,
На материнской груди приласкай!
Ведь я тоже твой швили Деда
Только за горкой мой край.

Сладко сердцу от песен Кахетии,
Знал от отцов, что земля Ваша рай.
Ни отдавай, никому меня, Деда!
Никому, меня не отдай!

На гармони тушинской сиграй!
Видишь, слезы мои через край!
Ведь я тоже твой швили Нана,
Только Чечнети мой край.

С золотыми садами Гурия!
Аджария, где чайчий гай!
Братья мои Сваны, Хевсуры..!
Самегрело-сестра! Не отдай!

Знаю я, что в далекой Сибири,
Где безлюден и холоден край,
Сниться будет мне милая Картли,
Вся в цвету, в бело-розовый май.

Ведь я тоже твой швили Нана!
Только чужим меня не отдай.

*Чинкейир Сэйд-Мохьмад.*
*2001 г. Тбилиси.*

# „პუტინის სიბრძე"

ამ სათაურით და ქვესათაურით „რუსეთისთვის უკეთესი იქნება, საქართველოს სტაბილობას რომ ხელს შეუწყობდეს" ბრიტანული „THE ECONOMIST" აქვეყნებს წერილს რუსეთის აგრესიული ანტიქართველიზმის ახალი ეტაპის შესახებ. „იმათ, ვინც პუტინს გამოსვლებს უწერს, თავი, უთუოდ, ამერიკული საგარეო პოლიტიკის კარგ მცოდნეებად წარმოუდგენიათ" — წერს ჟურნალი, — „ისინი მიისწრაფიან, რომ ყოველი ახალი ამერიკული იდეის კოპირება, უფრო ზუსტად კი — კარიკატურირება მოახდინონ, მათ, უდავოდ, ხელი ურევიათ იმ მკაცრი წერილის შედგენაშიც, რომელიც პუტინმა გაეროს გაუგზავნა და რომელშიც იგი აყალიბებს თავის არგუმენტებს, რათა გაამართლოს თავისი ინტერვენცია მეზობელ საქართველოში იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელის მთავრობა არ გაწმენდს თავის ტერიტორიას იქ შეფარებული ჩეჩენი ტერორისტებისაგან".



„რუსეთის ოფიციალური პირები ამტკიცებენ, რომ, ისევე როგორც ამერიკას ერაყში, რუსეთს აქვს უფლება საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს, თუნდაც მარტომ, სამხედრო აქცია იმ ნაციის წინააღმდეგ, რომელიც, მისი აზრით, არღვევს საერთაშორისო სამართალს. ისევე, როგორც ამერიკელებს ავღანეთში, რუსებსაც, მისი აზრით, შეუძლია თავისი აქცია გაამართლოს იმის დამოწმებით, რომ ვერშემდგარი სახელმწიფოები შესაძლებელია იქცნენ ჩირქოვან კერად, რომელიც ხიფათს უქმნის სხვათა უსაფრთხოებას. პუტინი გამოთქვამს განზრახვას, რომ, ბუშივით, ექსტრემალურ (უკიდურეს) ვითარებაში წინმწსრობი (PREEMPTIVE) აქცია ჩაატაროს იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც სამკვდროსასიცოცხლოსა და მზარდ საშიშროებას ქმნის. თვით რეჟიმის შეცვლაც კი, მისი აზრით, ვერ გამოირიცხება.

„ყველა ამ არგუმენტთა ნარევი პუტინისა და მის თანაშემწეთა მიერ გამოყენებულ იქნა თავისი ამასწინანდელი მრავალჯერ გამოთქმული მუქარის გასამართლებლად, რომ სამხედრო აქციას მოახდენენ საქართველოს მიმართ. საჰაერო რეიდებს უკვე ჰქონდა ადგილი, — ასე იტყობინებიან ქართველები, — ხოლო რუსები ბუნდოვანად მიგვანიშნებენ, რომ შესაძლოა სახმელეთო იერიშებიც მოხდეს. ქართველებს ჰბრალდებათ რუსეთის უშიშროების ხელყოფა, რადგან ისინი არ ახორციელებენ ან ვერ ახორციელებენ ეფექტიან ქმედებებს ჩეჩენ მებრძოლთა წინააღმდეგ, რომელთაც, შესაძლებელია, მოკავშირეებად სხვაგნით მოსული მუსლიმანი ექსტრემისტები ჰყავთ და ბანაკი შორეულ პანკისის ხეობაში მოუწყვიათ. თუ თქვენ პრობლემას ვერ წყვეტთ და ვერ გვაძლევთ გარანტიას, რომ საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე თავდასხმა ვერ მოხდება, მაშინ ამას ჩვენ ვიზამთო — ასეთია კრემლის გაცხადებული პოზიცია. ამასობაში კი რუსული მედია შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმების ესკალაციას ახდენს. ყოველივე ამის ნათელი იმპლიკაცია (ყოველივე ამისგან მკითხველის და მაყურებლის მიერ გამოსატანი დასკვნა) არის ის, რომ, რუსული დარტყმის პროცესში, დიდად არავინ იდარდებს, თუ საქართველოს ხელისუფლების ცვლილება მოხდება.

„თუ რუსეთის ამ არგუმენტებში ერთი მარცვალი სიმართლე მაინც არის, იგი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველო, — რომელიც სრულებითაც არ არის ვერშემდგარი სახელმწიფო, — მართლაც თავის სასაზღვრო მხარეებში გასაჭირის მქონე სახელმწიფოა. მართლაც, მის ორ რეგიონში — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში — თბილისის მთავრობის მინაწერს ძალა სრულებით არა აქვს. სხვა მხარეებშიც კი ამ მთავრობას ბრძოლა უხდება, რათა გადასახადები აკრიფოს და კანონი გაატაროს. ეს სახიფათო ვითარებაა. იქ, სადაც კანონი არ მოქმედებს, გაჩენილ ვაკუუმს ნარკოკონტრაბანდა, იარაღის კონტრაბანდა და სხვა კიდევ უფრო მომაკვდინებელი ხდომილებები ავსებს.

ჟურნალი განაგრძობს: „მაგრამ რუსეთს ამ არგუმენტაციაში უზარმაზარი ხარვეზი აქვს. თუ საქართველოს სახელმწიფო სრულყოფილად ვერ ფუნქციობს პანკისში ან სადმე სხვაგან, ეს დიდწილად იმიტომ ხდება, რომ რუსეთი თვით უთხრის თანმიმდევრულად ძირს მის ამ ფუნქციობას. ესოდენ გამძლე მინისახელმწიფოები საქართველოს საზღვრებში (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და, გარკვეულწილად, აჭარა) მთავრობას უპირისპირდებიან იმის წყალობით, რომ მოსკოვში ძლიერი მეგობრები ჰყავთ.

საქართველოში 150-იოდ სამხედრო მრჩევლის გაგზავნით ამერიკა ცდილობს ხელი შეუწყოს ქვეყნის უშიშროების ძალებს. მაგრამ ამ პროგრამასაც კი აქამდე ხელს უშლიან რუსეთთან კავშირში მყოფი ქართველი მოხელეები. თუ რუსებს მათი სამხრეთი საზღვრის უსაფრთხოება აწუხებთ, მათთვის უმჯობესია გააძლიერონ საქართველოს სახელმწიფოებრიობა იმის ნაცვლად, რომ გამეტებით ურტყან მას. საქართველო არც არამზადა სახელმწიფოა, არც (ჯერჯერობით) ვერშემდგარი სახელმწიფოა, ქართველებს არც გარეშეები სჭირდებიან იმისთვის, რომ მათ რეჟიმთა ცვლა მოუგვარონ. ბაძვა მაამებლობის ერთ-ერთი ფორმაა. მაგრამ არ უნდა შეატყუებინოთ არავის თავი პარალელების დანახვაში იქ, სადაც არანაირი პარალელები არ არსებობს

(THE ECONOMIST, 21-27.IX,2002).

# მირონ ფირცხელანი: „ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა არ შეწყდება, ვიდრე მთელი ენერგეტიკა უცხოელების ხელში არ გადავა"



**— ბატონო მირონ, იმ უამრავი შეხვედრის შემდეგ, რასაც ენერგეტიკოსთა საზოგადოება ხელისუფლების წარმომადგენლებთან თუ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებთან მართავს, შეიცვალა თუ არა რამე ენერგეტიკაში?**

— სამწუხაროდ, არაფერი შეცვლილა. ახალი არაფერი ხდება. გრძელდება ქვეყნის და დარგის წინააღმდეგ მიმართული პროგრამის განხორციელება, რასაც დღევანდელი ხელისუფლება გეგმაზომიერად მიმართავს.

მიუხედავად საზოგადოების უდიდესი ნაწილის წინააღმდეგობისა, სმკ-მა და იუსტიციის სამინისტრომ პირწმინდად შეასრულეს „ეი-ი-ეს თელასის" დაკვეთა ტარიფის მომატების შესახებ. ელექტროენერგიის ღირებულება დედაქალაქში 13,7 თეთრი გახადეს, რაიონებში 8,5 თეთრი. ეს, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის ჩუმი თანხმობით მოხდა. კიდევ უარესსაც გეტყვით, ამავე პრეზიდენტის 10 სექტემბრის ბრძანებულებით, დარჩენილი 5 ჰიდროელექტროსადგური განწესებულია გასაყიდად. ქონების მართვის სამინისტროს დავალება მიეცა, უახლოეს ხანში მოამზადოს ტექნიკური დოკუმენტაცია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია, კერძოდ, მისი მე-3 მუხლი პირდაპირ კრძალავს სტრატეგიული ობიექტების ნებისმიერი ფორმით გასხვისებას, მთავრობა ჯიუტად აგრძელებს ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, საზღვაო და საჰაერო ფლოტის, გაზის კომუნიკაციების, წყალმომარაგების სისტემების და ა.შ. სხვადასხვა ფორმით გაყიდვას, მართვის უფლებით თუ იჯარით გაცემას.

**— როგორც მახსოვს, ამ ცოტა ხნის წინ, როცა თელასმა ტარიფის გაზრდა მოითხოვა, პრეზიდენტმა მოსახლეობას სიტყვა მისცა, ყველა ღონეს ვიხმართ, ეს თანხა მოსახლეობას კისერზე რომ არ დააწვესო. ტარიფი იმატებს, მაგრამ არავინ აღარ ამბობს, რომ ამას მოსახლეობა არ გადაიხდის.**

— ეს მტკნარი სიცრუე იყო. ამ თანხის დაფარვის წყარო არ არსებობს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი ენერგეტიკოსების კუთვნილ თანხას, რომელიც ზამთრისთვის მზადებას და სახელფასო დავალიანებების დაფარვას უნდა მოხმარდეს. ნუ გაგიკვირდებათ, შარშანდელის მსგავსად, „ეი-ი-ეს თელასს" წინდაწინ თუ გადაუხდიან დაპირებულ თანხებს. შარშან, როცა „ეი-ი-ესმა" ტარიფის მომატება მოითხოვა, ქართველი ენერგეტიკოსების კუთვნილი 30 მლნ. ლარი სემეკმა მთავრობის თანხმობით, ფაქტობრივად, „ეი-ი-ეს თელასს" აჩუქა.

**— თუ ტარიფში შესულ სხვაობას მთავრობა უხდის „ეი-ი-ეს თელასს", მოსახლეობას რატომღა ახდევინებენ?**

— მართალია, აქ საქმე გვაქვს ორმაგ სტანდარტთან. ტარიფი 1,3 თეთრით იზრდება, რასაც მოსახლეობა გადაიხდის, ერთ ამდენს კი ქართველი ენერგეტიკოსების „კისრიდან ამოიღებენ" და „ეი-ი-ესს" გადაუხდიან, რომ ტარიფი 15 თეთრი არ გახდეს. ეს თანხა წელიწადში 30 მლნ. ლარს შეადგენს დაახლოებით.

**— კი მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, როდემდე შეიძლება გაიზარდოს ტარიფი? ყველაფერს აქვს ამქვეყნად დასასრული.**

— ტარიფის ზრდა არ შეწყდება მანამ, ვიდრე მთელი ენერგეტიკა უცხოელების ხელში არ მოხვდება. საქართველოს მოსახლეობის ძირითადი ნაწილი იქნება გადახდის უუნარო. ყოველივე ეს იქით არის მიმართული, რომ ყველაზე იაფი და ეკოლოგირად სუფთა ენერგიის წყაროები (ჰიდროელექტროსადგურები) უცხოელების ხელში გადავა. მათ უკან კი „ახალი ქართველები", კერძოდ, დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები დგანან. მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყნის წინააღმდეგ ეკონომიკური დივერსია ხორციელდება. ვერცერთი მეწარმე წარმოებას ველარ გამართავს, რადგან ნაწარმის თვითღირებულება იმდენად გაიზრდება, გასაღების ბაზარი აღარ ექნება. მეწარმეობა საბოლოოდ ჩაკვდება საქართველოში, თუ ასე გაგრძელდა.

**ირმა მაჭარაძე**

რუსული დივერსიის მოლოდინში

# შევარდნაძის რუსეთის აგენტობას ისიც ამტკიცებს, რომ დღესაც არ წამოსცდება ოფიციალურად, აფხაზეთში რუსეთი გვეომაო

ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან

**— ბატონო ნოდარ, როგორ ფიქრობთ, რატომ გადასცა შევარდნაძემ ჩეჩნები რუსებს, როცა შეეძლო არ გადაეცა? მან ხომ ეს მრავალი კანონდარღვევით გააკეთა.**

— ამოცანა კონკრეტულია. დღეს გვიჩვენეს, რა ვერაგულად გაწირა საქართველომ ჩეჩნები. ხვალ გამოიყვანენ თავის აგენტს გროზნოში და აყვირებენ „ქართველების შური ვიძიოთ". ზეგ დაიწყებენ საქართველოში სისხლიან დივერსიებს გრუ-ს ხელით და ჩეჩნების სახელით. გამჭოლი მიზანია ქართველებსა და ჩეჩნებს შორის კონფლიქტის მოწყობა. ეს — ამ კერძო შემთხვევაში. უფრო ფართო მიზანია საქართველოზე რუსეთის პირდაპირი დარტყმის ორგანიზება.

**— მაშ დღიდან დღეზე რუსულ დივერსიებს უნდა მოველოდეთ?**

— ეს ლოგიკურია. და ლოგიკური იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, ეს სამარცხვინო ინციდენტი რომ არ მომხდარიყო.

**— რუსეთს დღეს დასავლეთი საქართველოს არ დააპყრობინებს. ამას თქვენც ამბობთ ხოლმე. მაშ რა აზრი აქვს რუსებისთვის ამ მუქარას და დაბომბვებს?**

— ორგვარი აზრი აქვს. ჯერ ერთი, რუსებმა იციან შევარდნაძის მონური ბუნება და მოელიან, რომ ამ მუქარით კიდევ ერთ იურიდიულ კაპიტულაციას გამოსტყუებენ. უფრო ზუსტად: კაპიტულაციას მოახდენს დაშინების გარეშეც, რადგან რუსეთის აგენტია, შიშს კი მხოლოდ ისიმულანტებს, თითქოს საქართველოს ინტერესებს კიდევ ერთხელ იმიტომ ყიდის, რომ ტყავს უფრთხილდება ან, — კიდევ უფრო სასაცილო, — თითქოს საქართველოს უფრთხილდება. მეორე აზრია: დღეს პუტინი ჩიხურ მდგომარეობაშია ერაყის საკითხში. თუ გაეროში ამერიკელებს მიემხრობა ერაყზე დარტყმის საკითხში, ამით ერაყსა და სხვა არაბულ ქვეყნებს დაკარგავს, როგორც მეგობრებს. თუ მათ წინააღმდეგ წავა, ვაი თუ ამერიკელებთან ურთიერთობა გაუფუჭდეს. ეს ძალიან არ უნდა. ამიტომ ერთი რჩება: გაეროში ერაყი არ გაწიროს, მაგრამ იმდენი გამბედაობა ისიმულანტოს ამერიკელების პირისპირ, რომ რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება თვითონვე არ ისურვონ. „ფაინენშელ ტაიმსის" მასალაში, რომელსაც თქვენ ახლა აქვეყნებთ ამ ნომერში, სწორედ ამ ნიუანსზეა ლაპარაკი: რომ პუტინს ჰსურს, ამერიკელების თვალში ცოტა წონა მოიმატოს.

**— რა ლაპარაკი შედგება შევარდნაძესა და პუტინს შორის ხვალ კიშენოვში?**

— შევარდნაძე კიდევ ერთხელ ჩამოვა გალახული, დამცირებული. მას მეტის უნარი არა აქვს. მას არ შეუძლია პარტნერთან სხვანაირად ლაპარაკი, თუ არ დაქვემდებარების პოზიციიდან. არ შეუძლია თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ იმ პარტნერის აგენტი არ არის. იგი რაღაცა მორიგ კაპიტულაციაზე წავა: ან სამხედრო ბაზების თაობაზე, ან „ერთობლივ სათავდაცვო სივრცეზე", ან რაღაცა კიდევ ახალ „ურთიერთკოორდინაციაზე", ან კიდევ რაღაცა ლორულ ღალატზე ჩეჩნების წინააღმდეგ. კვლავ განმეორდება მისი ჩვეული სქემა: ცარიელ ადგილზე რაღაცა რეალური კატასტროფის შექმნა, შემდეგ — გამოუვალი მდგომარეობის სიმულაცია, შემდეგ — „რა ვქნათ, უნდა დავთმოთ" და რაღაცა იურიდიული კაპიტულაციის გაფორმება.

**— „ფაინენშელ ტაიმსის" მასალაში, რომელიც თქვენ ახსენეთ, შევარდნაძე ნახსენებია როგორც რუსეთის მოწინააღმდეგე. რით ახსნით ამას?**

— არა იმით, რომ ეს მართლაც ასეა. არის პრესის ერთგვარი ეტიკეტი, თუ გნებავთ — თვალის სავალდებულო დახუჭვის რაღაცა დაუწერელი კანონები. თუ შევარდნაძე ამბობს, „გაუმარჯოს დასავლეთსო", მესამე ქვეყნის ჟურნალისტის მხრიდან უტაქტობაა ეს სიყალბედ ჩათვალოს, რადგან ის, ვინც ამას ამბობს, უკეთესია იმაზე, ვინც ამას არც ფიქრობს და არც ამბობს. იმის დამტკიცება, რომ შევარდნაძე რუსეთისაა და არა სხვა ვისიმე, — მათ შორის, არც საქართველოსი, — ძალიან ადვილია. აბა კითხვა დავსვათ: რატომ შევარდნაძეს დღესაც კი არ წამოსცდება ოფიციალურად, რომ აფხაზეთში რუსეთი გვეომა. გვეომა არა ერთეული და ოცეული, ან თუნდაც ასეული პარტიზანის ხელით, არამედ ათეულობით ათასთა ხელით, რომლებიც მრავალ ეროვნებას ეკუთვნოდნენ, ძირითადად რუსულს, მაგრამ ყველანი, ერთი კაცივით, რუსეთის მოქალაქენი იყვნენ, რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩვენთან საომრად საგანგებოდ გაწვრთნილი, შეიარაღებული და პროპაგანდაგაწეული.

**მარი დვალი**



მიმართვა

# შემაძრწუნებელი სიმართლე რუსეთში ექსტრადირებული ჩეჩენი პატიმრების შესახებ

## საქართველოს პრეზიდენტს ე. შევარდნაძეს საქართველოს გენერალურ პროკურორს ნ. გაბრიჩიძეს იუსტიციის მინისტრს რ. გილიგაშვილს

თქვენ ქართველი ხალხის სახელით ჩაიდინეთ დანაშაული, რომლისთვისაც არც გამართლება არსებობს და არც შენდობა. თქვენ სამართლის ნორმების დარღვევით ჩვენს ქვეყანაში, საქართველოში თავშეფარებული დაჭრილი ჩეჩენი მებრძოლები, რომლებმაც ჩვენს ერს და მის ხელისუფლებას ნდობა გამოუცხადეს და იარაღი ჩააბარეს, გადაეცით მათი ერის მოსისხლე მტერს, რუსეთს, რომელშიც მათ მოელით მხოლოდ წამება და სიკვდილით „დასჯა". თქვენი ეს ქმედება არის ღალატი საქართველოს წინაშე და მთლიანად კავკასიის წინაშე. ჩვენი ქვეყნის სახელს და კავკასიის ერთა ურთიერთობას მომავალში მძიმე ხიფათი შეუქმენით.

თქვენი ქმედების იურიდიული კვალიფიკაცია შემდეგია:

1. ადვოკატებს არ შეატყობინოთ, რომ საპატიმროდან პატიმრების გაყვანა ხდებოდა. მათ დაუმალეს ინფორმაცია, ვინ გაიყვანეს და სად იმყოფებიან.

2. პატიმრები გაიყვანეს ღამის საათებში, 04 საათზე;

3. პატიმრების გამოსაყვანად ციხეში შევიდა იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი ავტომატებით, შინაგანაწესის დარღვევით. ამის „გასამართლებლად" შეთხზული ოფიციალური ვერსია — თითქოსდა იზოლატორში მყოფ ჩეჩნებს ხელთ „რკინები და აგურები" ჰქონდათ, აბსურდულია, ვინაიდან იზოლატორის პირობების მიხედვით ეს შეუძლებელია;

4. 04 საათიდან 12 საათამდე პატიმრები პირქვე დამხობილები გააჩერეს მანქანაში, უჭმელად და უტუალეტოდ;

5. პატიმრების გადაცემა მოხდა მათი ბრალეულობის დამტკიცების გარეშე. ყველას ერთნაირად ჰქონდა მიწერილი „5 რუსი სამხედრო მოსამსახურის მოკვლა და 6-ის დაჭრა";

6. დარღვეული იყო რუსი გამომძიებლების მიერ საქართველოში მყოფი პატიმრების ამოცნობის პროცედურა. მათზე რუსეთის მხრიდან წარმოდგენილი „საქმეები" ეხებოდა სხვა პირებს, არარსებული სახელ-გვარებით. მათი ნამდვილი სახელ-გვარები რუსეთის მხარის მიერ წარმოდგენილ მასალებში არ ფიგურირებდა. საქართველოში მყოფი ჩეჩენი პატიმრების სურათები და სახელები და გვარები რუსეთის მხარეს გადასცა მხოლოდ საქართველოს მხარემ. მათი სურათები, რომლებიც საქმეშია, გადაღებულია თბილისის ციხეში. არავითარი კომპრომატი გადაცემული პატიმრების შესახებ რუსეთის მხარეს არ წარმოუდგენია ზემოხსენებული აშკარად ყალბის გარდა და არც ჰქონდა, გადაცემის მომენტში;

7. რუსეთის მოქალაქეთა მიერ საქართველოში დაპატიმრებული ჩეჩნების „ამოცნობა" ზემოხსენებული ფოტოსურათების მიხედვით მომხდარია პროცედურის დარღვევით. „ამომცნობი" პატიმრებს დაუსახელეს მხოლოდ გვარით, რომელიც მათთვის უცნობია. პატიმრები ურყოფენ საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობას;

8. ციხის ადმინისტრაციას, დაცვას და ნათესავებს არ შეატყობინეს, სად წაიყვანეს პატიმრები;

9. ერთი გატაცებული პატიმარი მძიმედ დაჭრილი გაიყვანეს ციხის საავადმყოფოდან (ჭრილობა მუცლის არეში);

10. საზღვარზე გადმოსვლის დროს ჩეჩნებს ჰქონდათ სამი ავტომატი და რამდენიმე ხელყუმბარა, რომლებიც ექსპერტიზამ შეამოწმა (ააფეთქა). მიუხედავად ამისა, რუსეთის მხარე ტელევიზიით აჩვენებს თითქოსდა ამ ჩეჩნებისთვის „ჩამორთმეულ" იარაღს ხელყუმბარების ჩათვლით, რაც რუსეთის მიერ წარმოებული ძიების სიყალბეზე მიუთითებს აგრეთვე;

11. ჩეჩენთა „ამოცნობის" ჩვენების სიყალბეს ამხილებს მისი ცნობა თითქოს „ერთ-ერთ" მათგანს ბრძოლის დროს ცალ ხელში ПК ეჭირა, მეორეში „СВД", რაც აბსურდია;

12. სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლოში გაიგზავნა ადვოკატების განცხადება გადაცემის შეჩერების აუცილებლობის დასაბუთებით. საპასუხო დოკუმენტი, რომელიც ითხოვს გადაცემის შეჩერებას, სტრასბურგიდან მოვიდა დაუყოვნებლივ. საქართველოს ხელისუფლებამ ამ გარემოებათა იგნორირება მოახდინა.

თქვენს დანაშაულს ამძიმებს ის, რომ თქვენ არ მოითხოვთ რუსეთისაგან საქართველოს დამბომბავი და საქართველოს მოქალაქის მკვლელი მფრინავის გადმოცემას და არც იმ რუსეთის მოქალაქეების (ეროვნებით რუსების) გადმოცემას, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ქართველების გენოციდში აფხაზეთში.

**საქართველოს სახალხო ფრონტი**
**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება**

5 ოქტომბერი, 2002 წელი.

**P. S. მოსალოდნელია, საქართველოს მიერ 5 ჩეჩნის გაწირვას რუსეთის სპეცსამსახურები გამოიყენებენ საქართველოში დივერსიების მოსაწყობად ჩეჩნების სახელით.**

# ერაყის შეიარაღებათა გამო

1991-1998 წლებში გაეროს ინსპექტორებმა ამომწურავი მასალა შეაგროვეს ერაყის მცდელობაზე, რომ მასობრივი მოსპობის იარაღები შექმნას, აგრეთვე მათი გადამტანი რაკეტები ააგოს. 1998 წელს რომ ინსპექტორებმა იძულებით მიატოვეს ერაყი, მათ ეჭვი ეპარებოდათ, რომ ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის ყველა საწყობი ვერ ნახეს, რომ ყველა მასალა ვერ აღრიცხეს და რომ გამორჩათ ამ იარაღის დამამზადებელი საწარმოები, რომლებიც პატარაა და ადვილი დასამალავია. ყველაზე უკეთ ინსპექტორებმა რაკეტების წარმოება შეისწავლეს. მათი დასკვნით, ერაყს შეეძლო აეკრიბა „ალ-ჰუსეინ" ტიპის რამდენიმე ცალი რაკეტა (650 კმ რადიუსით მოქმედი) და რამდენიმე კიდევ უფრო მოკლერადიუსიანი. ბირთვული იარაღის მაწარმოებელი ინფრასტრუქტურა მოშალეს, მაგრამ ცოდნა დარჩა და მას ძალუძს მალე მოიპოვოს შედეგი, მით უფრო, თუ ნედლეულის — გახლეჩადი მასალის — საზღვარგარეთ მოპოვება შეძლეს.

1998 წლიდან გაურკვევლობამ იმატა. თანამგზავრებმა აღბეჭდეს აქტივობა იმ ადგილებში, სადაც ადრე ქარხნები იყო. დაზვერვამაც შენიშნა აგენტურული ქსელი, რომელსაც ტექნოლოგიებისა და მასალების შოვნა ევალებოდა. ერაყს დაარსებული ჰქონდა მომარაგების ბლოკები „სოციალისტური ბანაკის" ქვეყნებში. არის მინიშნება ურანის გამამდიდრებელი საწარმოს დანადგარებით აღჭურვის მცდელობაზე, მაგრამ, ეს მცდელობა ერაყს ჩაუვარდა (სტივენ ფიდლერი, „ფაინენშელ ტაიმსი", შემოკლებულია).

ობიექტური ინფორმაცია




(რუსეთის ამასწინანდელმა საქციელმა ბევრნი შეაეჭვა. პუტინი ხომ არ ყოყმანობს დასავლეთთან დაახლოებაზე, ალბათ, ასე არაა)

ქვესათაურის იმედიანი კილო სავსებით არშეესაბამება მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ამ ჟურნალის პოზიციას. აქ ვკითხულობთ:

„ერთი წლის წინ უცაბედი დამკვირვებლის თვალში ასე ჩანდა, რომ 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ პუტინმა დასავლეთთან დაახლოება გადა-

# პუტინი დასავლეთის მოყვარეა თუ მტერი?

წყვიტა. დღეს ამავე დამკვირვებლის თვალში შეიძლება საქმე სხვაგვარად ჩანდეს. თუ მაშინ რუსეთმა მყარად დაუჭირა მხარი ამერიკელების ომს ტერორიზმის წინააღმდეგ, ახლახან რუსეთმა, თითქოს, პოზიცია შეიცვალა: იგი გულგრილად ახსენებს ერაყში შეჭრის იდეას და შემაშფოთებლად თბილად ეკიდება ამერიკელების მიერ „ბოროტების ღერძად" მოხსენიებულ სახელმწიფოებს, აგრეთვე უფრო და უფრო აგრესიულია საქართველოს მიმართ, სადაც ჩეჩენმა მეამბოხეებმა თავშესაფარი ნახეს".

„გასულ კვირას პუტინმა პანკისის დაბომბვაც დაიმუქრა (რის ფარულად გაკეთებასაც ქართველები მას ბრალად სდებდნენ აქამდე) იმის გამო, რომ იქ შესაძლებელია ჩეჩნებმა თავშესაფარი ნახონ. კრემლის პოლიტიკის ზოგ დამკვირვებელს მიაჩნია, რომ პუტინი იმ კონსერვატორთა ზეწოლის გამო, რომლებიც მისგან რუსეთის ინტერესთა დაცვას ითხოვენ, პუტინი გაცვლას სთავაზობს ზარბაზნებზე დაიმედებულ ბუშს: ჩვენ შენს მტერს დაგაბომბინებთ, შენ კი ჩვენი დაგვაბომბინეო".

„მაგრამ სინამდვილეში პუტინის შინაური კრიტიკოსებიც და გარეშეებიც საქმეს ამარტივებენ. არც მისი ძველი პოზიცია, არც ახალი არაა „მუხლის ახტომის" მარტივი რეაქცია, როგორადაც ჩანს. პუტინი საგარეო პოლიტიკაშიც, ისევე როგორც ყოველსავე სხვაში, პრაგმატიკოსია, ამიტომ მან ამერიკელებთან და ევროპელებთან უფრო მჭიდრო კავშირების ძებნა დაიწყო ჯერ კიდევ 11 სექტემბრის ტერაქტამდე და თან — საერთაშორისო ორგანიზაციებში რუსეთისთვის უფრო დიდი როლის ძებნაც. მის მიერ ამერიკელების მხარდაჭერამ ჯილდო მოუტანა: აშშ-მაც და ევროკავშირმაც რუსეთს „საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის" სტატუსი მიანიჭეს, ხოლო ნატო-რუსეთის საბჭოს შექმნა მაისში იმის ნიშანი გახდა, რომ რუსეთმა მტრის მდგომარეობიდან დასავლეთის მოკავშირის მდგომარეობისკენ გადაინაცვლა.

რუსი „მაგარი ხაზის" მომხრენი მაინც ჩივიან, პუტინმა რუსეთის მსოფლიო მდგომარეობა დათმოო, მაგალითად, ამერიკელებს დაანება ჯარების შეყვანა შუა აზიაში და დიდად არ შეეწინააღმდეგა ბალტიის ქვეყნების შესვლას ნატოში. რამდენიმე კვირის წინ კი მან ფეხებზე დაიკიდა ამერიკელები იმით, რომ შეჰხვდა კორეელ დიქტატორს და ლაპარაკი აქვს 40 მილიარდ დოლარიან სავაჭრო ხელშეკრულებაზე ერაყთან და კიდევ 5 ბირთვული რეაქტორის აშენებაზე ირანში.

„მაგრამ რუსეთისა და კორეის პრეზიდენტები ადრეც შეხვედრილან (და ეს უკანასკნელი საერთოდაც ამჟამად მეტ ვისმე ჰხვდება, ვიდრე ადრე ჰხვდებოდა). რაც შეეხება ერაყთან ხელშეკრულებას, იგი თვით ერაყელთა ინიციატივაა და შესაძლოა ისინი მის ზომას ცოტა აზვიადებენ კიდეც. ასეა. თუ ისე, რუსეთის ტრადიციულ მოკავშირეებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება პუტინის მხრიდან პრაგმატული ნაბიჯიც არის და აზრიანიც — არა მხოლოდ ინვესტიციების გამო, რომლებიც დიდი არ იქნება, არამედ იმიტომ, რომ რუსეთი შესაძლოა შუამავლად იყოს ერთ მშვენიერ დღეს დასავლეთსა და ჩრდ. კორეას შორის, როცა ეს უკანასკნელი იმ ჭკუაზე მოვა, რომ თავის გაეროში ბუშის მკაცრი გამოსვლის მომენტიც. გაეროში ერაყზე მსჯელობის მანძილზე რუსეთმა არაერთხელ წამოწია თავისი ჩეჩენი მეამბოხეების წინააღმდეგ წარმოებული კამპანიის თემა, რითაც უეჭველად უნდოდა პარალელის გავლება და თვით ამერიკელი მოხელეებიც აღიარებენ, რომ ტერორთან ურთიერთობის მათმა გამოცდილებამ ისინი უფრო მგრძნობიარენი გახადა რუსეთის ტერორის თემისადმი".

„მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ რუსეთს გარიგება უნდა: ხელი გამითავისუფლეთ საქართველოში და ხელს გაგითავისუფლებთ ერაყშიო. იმ დროს როცა ბუში, ალბათ, სიამოვნებით დაარტყამდა ერაყს, სრულებითაც არაა ნათელი, რომ პუტინს მართლაც უნდა სრულმასშტაბიანი დარტყმა ჩრდილოეთ საქართველოზე. ჯერ ერთი, ეს მძიმე (საშარო) საქმე იქნებოდა. „არ მგონია, რომ რუსეთს უნარი ჰქონდეს სუფთა ქირურგიული ოპერაციები-



ჩაკეტილობაზე ხელი აიღოს.

რუსეთის მონდომებასაც, რომ ერაყის კონფლიქტი უომრად გადაიჭრას, თავის პრაგმატული ფესვები აქვს. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრობა ერთ-ერთი ბერკეტია, რომლითაც გაღარიბებულ რუსეთს ჯერ კიდევ რაღაცის მიღწევა ძალუძს, ამიტომ მას არ უნდა, რომ ეს საბჭო იგნორირებული იქნეს".

მაგრამ პრაგმატიზმს სხვაგვარი მუშაობაც ძალუძს. წლების მანძილზე ლუკაშენკომ აუარებელი დათმობა დასტყუა რუსეთს თავისი მოთხოვნით ორი ქვეყნის გაერთიანების შესახებ, რაც ოდნავ შენიღბული საშუალება იყო იმისა, რომ ლუკაშენკო ორივე რუსეთის პრეზიდენტი გახდეს. მაგრამ ამ მოდიქტატორო კაცს დასავლეთში მეგობრები არ ჰყავს და, დიპლომატთა მოწმობით, იგი მის მოხელეებსაც კი სძულთ. ამ ბოლო ხანებში იგი აშკარად ყელში ამოუვიდა პუტინს. ამიტომ ამ ორი თვის წინ ლუკაშენკოს წინადადებებს მან თავისი დაუპირისპირა: არსებითად, რუსეთს ბელარუსის 7 რეგიონი გადავაყლაპოთო, რითაც ბელარუსის პრეზიდენტი ზედმეტი ხდება. ცოტა ხნით ადრე მანამდე რუსულმა და ბელარუსულმა პრესამ დაბეჭდა ჩანერილი სატელეფონო საუბრის ტექსტი, სადაც ბორის ნემცოვი ერთ ბელარუს ოპოზიციონერ ლიდერს ატყობინებდა, რომ კრემლი თანაუგრძნობს ლუკაშენკოსთვის ძირის გამოთხრის ცდას. როგორც ჩანს, პუტინი არ ისწრაფის ტრადიციული მეგობრებისკენ იმის გამო, რომ ისინი ტრადიციული მეგობრები არიან.

საქართველოში არსებული სიტუაცია უფრო შემაშფოთებელია. პუტინმა თავისი დაბომბვის მუქარა ისეთ დროს მოარგო, როცა 11 სექტემბრის ტერაქტის წლისთავიც იყო და

სა პანკისში" — ამბობს კარნეგის ფონდის მოსკოველი წარმომადგენელი დიმიტრი ტრენინი. პუტინის თამამი პოზა შესაძლებელია სხვა არა იყოს რა, თუ არ დათმობა საკუთარი „ქორებისადმი", რომლებიც ფიქრობენ, რომ მას მეტი სიმკაცრე ჰმართებს საქართველოს მიმართაც, რომლის პრეზიდენტს მტრები ჰყავს მოსკოვში, და ამერიკელთა მიმართაც".

„ისიც შესაძლებელია, რომ ამ მოქმედებაში თვით პუტინის სასოწარკვეთა გამოიხატებოდეს. მისმა სიმკაცრემ ჩეჩნების მიმართ იგი თავდაპირველად პოპულარული გახადა ამომრჩევლებში. მაგრამ მისმა სისუსტემ, რომელმაც კონფლიქტი ვერ დაამთავრებინა, შეიძლება ცუდად იმოქმედოს მის მდგომარეობაზე 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. შესაძლებელია, საბოლოოდ, რომ მას ვერ უბიძგონ უკიდურესი ზომებისკენ, თუმცა მისი ბოლოდროინდელი ტაქტიკა, ფრიად დანაშაულებრივად (THUGGISH) გამოიყურება. მაგრამ ამერიკელებს შეუძლიათ, რომ ამ ტაქტიკის დაგმობის ნაცვლად ორივეს — რუსეთსაც და საქართველოსაც — დაეხმარონ თანამშრომლობის აწყობაში პრობლემის გადაჭრის საპოვნელად".

# ერაყი — შიშთა და ინტერესთა კვანძი

*ერაყი დღეს ფეთქებადსაშიშია — არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან შეიძლება რეალურად წამოიწყოს (როცა გაუჭირდება) ქიმიური და ბიოლოგიური ომის ავანტიურა (იარაღით, რომელსაც მისი დამლა ექნება და რუსული შიგთავსი), არამედ იმიტომაც, რომ იქ გავარდნილ თოფს შესაძლოა ჯაჭვურ რეაქციასავით ახალ-ახალ ადგილას იარაღის ამოქმედება მოჰყვეს. მეორე ხიფათი ნაკლებ რეალურია პირველზე, რადგან ძალთა უპირატესობა მსოფლიოში დღეს იმდენად აშკარაა, რომ დიდი ომის ცდუნებას ნაკლებად ბადებს. მაგრამ მით უფრო დიდია პირველი საშიშროება, რადგან ტექნოლოგიური წინსვლა ამ მომაკვდინებელ საშუალებათა წარმოებაში შეუმჩნეველია და ასევე შეუმჩნეველია პოტენციურ ავანტიურისტთა გონებაში ამა თუ იმ გეგმის მომწიფების პროცესი.*

*ვბეჭდავთ შემოკლებით რამდენსამე მასალას ამ თემაზე.*

### ზეწოლა გაეროზე და გაეროს ზეწოლა სადამ ჰუსეინზე

ძალთა განლაგება ასეთია: ამერიკელები ითხოვენ გაეროსგან ახალ რეზოლუციებს ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებისა და შენახვის ინსპექტირების თაობაზე. სიახლე ძველ რეზოლუციებთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ აქ უნდა ფიგურირებდეს ძალის გამოყენება, როგორც სანქცია, იმ შემთხვევაში, თუ სადამმა ინსპექტორები არ შეუშვა ან რეალური მუშაობის საშუალება არ მისცა. რუსული პოზიცია ისაა, რომ ახალი რეზოლუციები საჭირო არაა, არამედ ძველიც კმარა. 11 სექტემბერს ბუშის „კარგად მოფიქრებულმა და შთამბეჭდავმა" სიტყვამ გაეროში მრავალი ქვეყანა, მათ შორის — უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრებიც დაარწმუნა ახალი რეზოლუციების საჭიროებაში. ზოგმა არაბულმა ქვეყნებმაც კი გადაწყვიტეს, რომ თუ იარაღის გამოყენებას ექნება გაეროს თანხმობა, მაშინ თავის ტერიტორიასაც კი გამოაყენებინებენ შემტევ ძალებს. პასუხად სადამმა ხერხი იხმარა და ნება დართო 4 წლის განდევნილი ინსპექტორების დაბრუნებას ერაყში. ამის შემდეგ კამათი ეხება მხოლოდ იმას, რამდენად სანდოა ეს ნებართვა ანუ რამდენად გაუხსნის ერაყი ინსპექტორებს თავის ობიექტებს. რუსეთის პოზიცია ფასდება როგორც „უპასუხისმგებლო".

დასავლეთს მიაჩნია, რომ რაკი აქამდე ჰუსეინი ცდილობდა თავისი ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი ან მისი წარმოების შესაძლებლობები დაემალა „რაც კი შეეძლო", იგი ამას ამჯერადაც შეეცდება. ერთადერთი გზაა იგი აიძულოთ, რომ გულწრფელი იყოს, არის სამხედრო მუქარა, რომელიც მოიცავს ორ ელემენტს: ერთია რეალური ძალის კონცენტრაცია ერაყის გარშემო, მეორეა გაეროს რეზოლუციის არსებობა, რომელიც ამ ძალის გამოყენებას გულისხმობს. უფრო მეტიც: არაა გამორიცხული, რომ ინსპექტორთა მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში აღმოჩნდეს შედეგიანი, თუ მათ გვერდით ეყოლებათ ჯარისკაცები, რომლებიც მათ იქ შეაღწევინებენ, სადაც სადამს არ უნდა.

ამერიკელებისა და ინგლისელების მიერ ამ რეზოლუციის (ან: ორი ასეთი რეზოლუციის) მოთხოვნა სარისკოა იმ მხრივ, რომ შეიძლება ამას რუსეთის, საფრანგეთისა და ჩინეთის წინააღმდეგობა მოჰყვეს, მაგრამ გაეროს ქმედუნარიანობის გაცოცხლების ეს მცდელობა რისკად ღირს. თუ საფრანგეთი და რუსეთი უარს იტყვიან ამ რეზოლუციის მიღებაზე მხოლოდ იმის გამო, რომ „ეს მრავალგზისი მატყუარა და მკვლელი" — სადამ ჰუსეინი კიდევ ერთ ცრუ შეპირებას წამოისვრის, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ისინი აქამდისაც გულწრფელნი არ ყოფილან. მაგრამ უფრო მოსალოდნელია, რომ „გულმოდგინე დიპლომატია შეძლებს მათს დაყოლიებას" ამერიკელების ხაზზე.

ბუშის არჩევანია „მიაღწიოს თანხმობას გაეროს მხრიდან თუ იმოქმედოს გაეროს გარეშე?" (და არა „მიიღებს იგი გაეროს თანხმობას და იმოქმედებს, თუ ვერ მიიღებს თანხმობას და მოქმედებაზე ხელს აიღებს?").

### სადამ ჰუსეინის კონტრზომა

სადამ ჰუსეინის კაპიტულაციამ — ნამდვილმა თუ მოჩვენებითმა — ბევრი რამ შეცვალა, ჯერ ერთი, მან „შვებით ამოსუნთქვა" გამოიწვია არა მხოლოდ ერაყელებში, რომელთაც დარტყმა ასცდათ (დროებით მაინც), მეორეც, მან მსოფლიოს ფართო წრეებს აჩვენა, რომ ამერიკელებს არ შესუსტებიათ ინტერესი გაეროს პოზიციისადმი და მის შესაძლებლობათა გამოყენებისადმი. გარდა ამისა, არაბებს ესიამოვნათ არაბული დიპლომატიის მიღწევა, რომელსაც მანამდე ბრალად სდებდნენ უუნარობას, ერთის მხრივ, ამერიკელების გაჩერების საქმეში, მეორე მხრივ კი სადამის დაყოლიების საქმეში, რომ ხელი აიღოს თავის ბირთვულ, ქიმიურ თუ ბაქტერიოლოგიურ ამბიციებზე. შვება იგრძნეს ამერიკელების მოკავშირეებმაც, რომელთაც, სულ ცოტა, მოფიქრებისა და ამოსუნთქვის დრო მიეცათ იმ შემთხვევისათვის, თუ მორიგება ვერ მოხდება და ცოტა ხნის შემდეგ ომი მაინც მოხდება.

სადამ ჰუსეინი იმით არბილებს თავის კაპიტულაციას, რომ ხაზს უსვამს, ეს ჩემი თანხმობა (ინსპექტორთა შემოშვებაზე) „პირველი ნაბიჯია" სიტუაციის მთლიანი დარეგულირებისათვის, რაშიც იგი ერაყზე დღეს არსებული სავაჭრო (საექსპორტო და საიმპორტო) სანქციების მოხსნას გულისხმობს. (აქამდე იგი ხაზს უსვამდა, რომ ინსპექტორთა არდაშვებას ერაყის ტერიტორიაზე არანაირი კავშირი არა აქვს სანქციების არსებობა-არარსებობასთან). ერაყელი დიქტატორის ეს ნაბიჯი თვით ერაყშიც და სხვა არაბულ ქვეყნებშიც ფასდება, როგორც ძლიერი საჭადრაკო სვლა, რომელმაც „ამერიკელთა აგრესიული ბუნება" და „ერაყის საქმის სიმართლე" მსოფლიოს დაანახვა. მაგრამ ამავე დროს ყველას ესმის, რომ ეს სადამის უკანასკნელი კოზირია. ერაყელების „მშვიდი სურვილია" დიქტატორის მოცილება და მისი წყალობით ერაყზე დადებული ეკონომიკური სანქციების მოხსნა, მაგრამ ეს სურვილი ვერ შეედრება თავისი ძალით მათს სურვილს, რომ კიდევ ერთხელ არ იგემონ ამერიკული იარაღის ძალა.

### კონფლიქტის შესაძლო სცენარი

ამერიკელები არ მალავენ, რომ საბრძოლო მოქმედება შეიძლება დაიწყოს როგორც პასუხი ინსპექტორთა მუშაობის რაღაც კონკრეტულ დაბრკოლებაზე ერაყელთა მიერ. შესაძლებელია აგრეთვე არასაფრენი ზონის გუშაგობის ოპერაციები გაფართოვდეს და მოიცვას არა მხოლოდ ერაყის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის განადგურება, არამედ მისი საკომუნიკაციო სისტემის მოშლაც. ჰუსეინმა იცის, რა მნიშვნელოვანია მის წინააღმდეგ ომის დასაწყებად გონივრული საბაბის ქონა და ამიტომ ყველანაირად ცდილობს ასეთი საბაბი არ შექმნას. ამერიკელები თავის მხრივ, ცდილობენ ყოველნაირად უჩვენონ არაბულ სამყაროს, რომ ერაყთან კონფლიქტი არ ნიშნავს მასთან კონფლიქტს. ამას ადასტურებს, მაგალითად, ამერიკელთა ძალიან აქტიური ყურადღება იზრაელ-პალესტინელთა ურთიერთობისადმი, რაც პალესტინური სახელმწიფოს შექმნისკენაა მიმართული საბოლოო ჯამში, და წყალთან დაკავშირებული ლიბან-იზრაელის კონფლიქტისადმი, რომელიც ახლახან გაჩნდა.

### ძირს დიქტატორი სადამი

გარდა ძირითადი და არსებითი მიზეზისა — ბირთვულ-ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური საშიშროებისა — რის გამოც ერაყელ დიქტატორს გამანადგურებელი დარტყმა ელის, მას სხვა ცოდვებიც აქვს. იგი დიქტატორია თავისი ქვეყნის მიმართ, ქურთების მასობრივი ხოცვის ერთ-ერთი ავტორია

გაგრძელება მე-5 გვ.






# ...მაგრამ ბლეირის კურსი ბევრს აეჭვებს და აღიზიანებს

**(ფ. სტივენსი, „ფაინენშელ ტაიმსი", ნაწყვეტები)**

„ყველაზე გადასარევი ისაა, რომ იგი არ ყოყმანობს. „სამართლიანი იქნება ეს ომი?" „რამდენი უდანაშაულო ადამიანი მოკვდება?" „ხომ არ გააჩენს ეს ომი ხანძარს მთელ რეგიონში?" ხომ არ არსებობს სადამ ჰუსეინზე ზემოქმედების სხვა გზა?" ეს კითხვები გვაწვალებს ჩვენ, მაგრამ არა ტონი ბლეირს.

ერაყელ ტირანს იძულებულნი ვართ, ველაპარაკოთ. ხიფათი რეალურია. კარგია, თუ ჰუსეინი გაეროს მისცემს თავისი მასობრივი მოსპობის იარაღების მოსპობის საშუალებას. მაგრამ იგი ალბათ ამას არ იზამს. ეს ნიშნავს ომს და — ეს საძაგელი ევფემიზმი რომ ვიხმაროთ — ბაღდადის რეჟიმის შეცვლას...

გაეროსმიერი სანქციების რეჟიმს (ლაპარაკია ეკონომიკურ სანქციებზე ერაყის მიმართ) ბზარი აღმოაჩნდა და სადამ ჰუსეინი 3 მილიარდ დოლარს ხარჯავს წლიურად თავის შეიარაღებათა პროგრამისათვის... ჩვენ ვიცით, რომ მისტერ ჰუსეინს აგენტები დაუდის მთელ მსოფლიოში, ნაღდი ფულის ჩემოდნებით, რათა გახლეჩადი მასალები იყიდონ ბირთვული დანადგარისთვის. მას რაკეტების მშენებლობის იარაღების პროგრამაც აქვს. მაგრამ ეს ჩვენ საკითხს [illegible], გარკვეული აზრით რა თქმა უნდა, სადამ ჰუსეინი საშიშია. მაგრამ დიდი კითხვა ყოველთვის იყო და არის ეს: არის თუ არა სრულმასშტაბიანი ომი მასთან ურთიერთობის ერთადერთი საშუალება?

ბლეირის დარწმუნებულობა ემყარება ერთის მხრივ გლადსტონისეულ მორალიზმს და მეორეს მხრივ ბრიტანული ინტერესების [illegible]. ერაყი ის გზაჯვარედინია, სადაც ერთმანეთს ხვდება მისი იდეალიზმი და პრაგმატიზმი, და ლიბერალური იმპერიალიზმი აქ [illegible]. აშშ [illegible], რათა [illegible] მისტერ ჰუსეინისაგან, სწორი ეთიკური არჩევანია.

ამავე დროს ეს ემსახურება ბრიტანეთის სტრატეგიულ ინტერესებს. თავისი დოქტრინა ჰუმანიტარული ინტერვენციისა ბლეირმა პირველად კოსოვოს კონფლიქტთან დაკავშირებით გამოთქვა. მიზანი იყო სამხედრო აქციის გამართლება, რომელსაც უნდა აღეკვეთა მილოშევიჩისეული ეთნიკური წმენდა. ხიფათი, რომელიც მისტერ ჰუსეინისგან მოდის, სხვაგვარია, მაგრამ პრინციპი იგივეა: სახელმწიფოთა სუვერენიტეტი პირობადებულია იმაზე თუ რამდენად მიღებული აქვთ მათ სახელმძღვანელოდ მოქცევის საყოველთაო წესები. საერთაშორისო საზოგადოებრიობას აქვს იმის უფლება და მოვალეობა, რომ, უკიდურეს შემთხვევაში, ეს წესები სამხედრო ძალით მოახვიოს თავს დამრღვევს.

მე და, მე მგონი, მრავალს ბლეირის მომხრეთაგანს ის გვაღარდებს, რომ ბლეირის ლიბერალური ინტერნაციონალიზმი მაინცდამაინც მოხერხებულად ვერ ზის ვაშინგტონელ ნეოკონსერვატორთა ცხვირმაგარი იმპერიალიზმის გვერდით. ქორებს (მაგარი ხაზის მომხრეებს, რედ.) სულ სხვა მოტივები და სხვა ამბიციები აქვთ. მათი მიზნები, რომლებიც შორს სცილდება [illegible]



# პუტინის მყიფე ბალანსირება ერაყსა და აშშ-ს შორის

წელიწადმა ჩაიარა პუტინის სიტყვიდან, რომლითაც მან რუსეთის საგარეო პოლიტიკა განსაზღვრა. მან მაშინ თქვა, რომ რუსეთი მხარს დაუჭერს ამერიკელთა მოქმედებებს ავღანეთში თალიბანის წინააღმდეგ და მათ მიერ შუა აზიის სამხედრო ბაზების გამოყენებას. როგორც არ უნდა ჰქონოდა მას მაშინ წარმოდგენილი რუსეთის საგარეო ურთიერთობათა განვითარება, იგი სავსებით კმაყოფილი ვერ იქნება დღევანდელი ვითარებით. მისგან მოითხოვენ მხარდაჭერას ამერიკელთა მოახლოებული მეორე სამხედრო აქციას, — ამჯერად, ერაყის წინააღმდეგ, — რომელსაც რუსეთის თვალში ძალიან მცირედი გამართლება ან სიკეთე თუ მოეძებნება.

პუტინმა იცის, რომ მის პოზიციას ვერ ექნება დიდი გავლენა ამერიკელთა მოქმედებაზე. ამერიკელებმა ნათლად გააცხადეს თავის მზაობა, რომ სადამ ჰუსეინი განდევნონ თუნდ საერთაშორისო მხარდაჭერით და თუნდ მის გარეშე. მაგრამ პუტინმა იცის, რომ მის მოქმედებას შეიძლება მოკლევადიანი დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, რადგან რუსეთი უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია. თუ აშშ და ბრიტანეთი ძალიან მოითხოვენ უშიშროების საბჭოს მკვეთრ რეზოლუციას, რომელიც დაემუქრება ჰუსეინს, რუსეთს შეუძლია ვეტოს გამოყენება და მისი ძველი მეგობარი ერაყი უთუოდ სთხოვს მას ამას. მეორე მხრივ, ამის ქმნის მინიშნებამ შეიძლება დააჩქაროს სამხედრო მოქმედების დაწყება.

...

მიუხედავად ამ ბოლო დროის დაახლოებისა ამერიკასთან, რუსეთის მრავალათწლიანმა პროარაბულმა საგარეო პოლიტიკამ თავისი კვალი დატოვა. ჰუსეინისთვის ზურგის სწრაფად შექცევა წინააღმდეგობრივი ნაბიჯი იქნება მოსკოვის მხრიდან. თუკი მოსახდენია „რეჟიმის შეცვლა" ბაღდადში, მაშინ, პუტინის პოზიციიდან, უმჯობესია ეს მოხდეს აშშ-ის სწრაფი, ცალმხრივი და წარმატებული აქციის სახით.

მაგრამ თუ რუსეთი იძულებულია დიპლომატიურად ჩაება საქმეში, მაშინ პუტინის გათვლები დაიწყება რუსეთ-ამერიკის ურთიერთობის თემით, რაც მისი პოლიტიკის პრიორიტეტია მთელი ბოლო წლის მანძილზე.

ევროპის ყოყმანი ცოტას ნიშნავს. რუსეთის დაახლოება ამერიკასთან იმას ნიშნავს, რომ მას აღარ სჭირდება ევროპელი ლიდერები, რათა ლობირება გაუწიონ მის ინტერესებს ვაშინგტონში. რუსეთი, უფრო, იმისკენ იხრება, რომ ამერიკელებს განიხილავს როგორც მოკავშირეს ევროპელებთან ურთიერთობაში. პუტინი ჯერ კიდევ ექსპერიმენტებს ეწევა, როგორ მოიგოს მაქსიმუმი ამერიკელებთან ურთიერთობიდან. 11 სექტემბრის ტრაგედის შემდეგ პუტინმა დაიწყო ამერიკის კეთილგანწყობის ძებნა. მან დახურა ორი



სამხედრო ბაზა ზღვისგაღმა, მშვიდად შეირგო ამერიკელების გამოსვლა ბალისტიკური რაკეტების შესახებ ხელშეკრულებიდან და დააწყნარა თავისი მინისტრები, როცა ამერიკელებმა ინსტრუქტორები გაგზავნეს საქართველოში.

მაგრამ მაისის სამიტის ახლო ხანებში პუტინმა შეცვალა სტილი, რაკი დაასკვნა, რომ „კაი ბიჭის" პოზიცია ბუშთან საკმარის სანაცვლო შედეგს ვერ იძლევა. მან დაიწყო აშშ-ის გამოწვევის პოლიტიკა ზოგ საკითხში, მაგრამ არა ისე, რომ კითხვის ქვეშ დააყენოს თავისი ახალშეძენილი მეგობრობა ბუშთან. მან გამოავლინა მყარი განზრახვა, რომ განავითაროს ურთიერთობა ირანთან, კორეასთან და ერაყთან, რომლებიც „ბოროტების ღერძად" არიან შერაცხულნი ამერიკის მიერ. ამას წინათ დაიმუქრა სამხედრო მოქმედებებით საქართველოში, რომელსაც ბრალად დასდო ჩეჩენი მეომრების შეხიზვნა. ეს პოლიტიკა არ ნიშნავს, რომ პუტინი არ მიემხრობა ამერიკელებს უშიშროების საბჭოში. მაგრამ იმას კი ნიშნავს, რომ მას უნდა დიდი ფასი დაიდოს.

ერთი დიპლომატი ამბობს, რუსეთს ჰსურს აშშ-ის მკაფიო განცხადება, რომ ისინი ცნობენ რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს ერაყში. ეს ინტერესი მოიცავს არანაკლებ 7 მლრდ დოლარს სახელმწიფო ვალს და დიდ სანავთობე და საინფრასტრუქტურო კონტრაქტებს, რომლებიც ჰუსეინმა რუსეთს აღუთქვა. რუსეთი იბრძვის ამერიკის დახმარების მოპოვებისთვისაც საქართველოში, სადაც იგი (რუსეთი) რთულ თამაშს ეწევა. ქართველებისადმი ბრალდების წაყენებით რუსეთი მას აკისრებს ბრალის ნაწილს იმაზე, რომ ჩეჩნეთის ომი ვერ დაამთავრა. იგი უტევს შევარდნაძესაც, რომელსაც ანტირუსული მიმართულებისად თვლის. მას უნდა, რომ აშშ-მა მასზე გავლენა იქონიოს და კომპრომისი ურჩიონ იმის ნაცვლად, რომ ზურგი მისცენ.

მოვლენათა განვითარების სხვა ვარიანტი ისაა, რომ რუსეთი წინააღმდეგობას გაუწევს აშშ-ს გაეროში, მაგრამ იმ იმედით, რომ ურთიერთობა არ გაუფუჭდება. შესაძლოა ეს იმედი ახდეს კიდეც („ფაინენშელ ტაიმსი").

**რედაქციისაგან: გაზეთის გულუბრყვილო შეხედულება შევარდნაძის „ანტირუსული" მიმართულების შესახებ უცვლელად მოგვყავს, რათა მკითხველს შეეძლოს მსჯელობა, რა ძნელია მსოფლიოს ინფორმირება საქართველოს რეალური სიტუაციის შესახებ.**

# ერაყი — შიშთა და ინტერესთა კვანძი

მე-4 გვერდიდან

და მრავალგზისი გამტეხია საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებებისა. ამიტომ დასავლელ პოლიტიკოსთა წრეში ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ იგი დამხობას „იმსახურებს" ამ დამატებითი მოტივითაც, რის გამოც საერთაშორისო ჩარევა მისი ქვეყნის ამ შინაგან საქმეში დასაშვებია. არაბული ქვეყნების საზოგადოებაში, თვით ერაყის ჩათვლით, აგრეთვე ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომ სადამ ჰუსეინის მოცილება სასურველია.

## მოკავშირე ინგლისელთა პოზიცია

ინგლისელებს და, კერძოდ, ბლეირს საკუთარი სირთულეები აქვთ შესაძლო ომთან დაკავშირებით. ბლეირისა და ბუშის ფართო კამპანიას ერაყის წინააღმდგ უკვე გარანტირებული პოლიტიკური გამარჯვება ელოდა (მის მხარეზე გაეროც დგებოდა და საზოგადოებრივი აზრიც), როცა სადამ ჰუსეინის გულწრფელმა თუ მოჩვენებითმა თანხმობამ ინსპექტორების შეშვებაზე „კარტი აურია". ბლეირს მის ქვეყანაში ვერავინ შეუშლის ხელს, რომ დაგეგმილ სამხედრო აქციაში დაგეგმილი მონაწილეობა მიიღოს, რადგან მას საამისოდ პარლამენტის თანხმობა არ სჭირდება (ომის გამოცხადების პრეროგატივა, რომელიც მეფეს ეკუთვნოდა, ამ ქვეყანაში დღეს ფაქტობრივად პრემიერ-მინისტრს ეკუთვნის). მაგრამ ინგლისელ ლეიბორისტებს, რომელთა ლიდერიცაა ბლეირი, თურმე განსაკუთრებული ნდობა და სიმპათია აქვთ გაეროსი, რის გამოც გამორიცხულია, რომ მათ ბლეირს მოუწონონ ომში მონაწილეობა, თუკი ეს გაეროს ახალი რეზოლუციის გარეშე მოხდება. მაგრამ ეს მოხდება, თუკი ბუშმა თავისი გეგმა არ გადასინჯა და თუ გაერომ ახალი რეზოლუცია არ მიიღო. თუ მოვლენები ასე განვითარდა, ინგლისი იომებს და ბლეირს თავის პარტიასთან იდეური დაპირისპირება მოუხდება.

რა განაპირობებს ლეიბორისტთა ამ პოზიციას? THEECONOMIST-ის სიტყვით, ესაა „არა იმდენად ბრმა ერთგულება გაეროსადმი, რამდენადაც აქტივისტური ანტიამერიკანიზმი. ძველისძველი სიმპათია კონსერვატიული არაბებისადმი და შურნარევი გმობა ბლეირის ყოყლოჩინა საჯარო თავდაჭერისადმი ამერიკის პრეზიდენტთან ერთად".

# დემონსტრაციას ასეთი უნდა!

ინგლისის სოფლელები კონფლიქტში არიან ქალაქელებთან. მათი ლოზუნგი, რომელიც 11 სექტემბრის უზარმაზარ მანიფესტაციაზე გამოიტანეს ლონდონში, ლოგიკურ წინააღმდეგობას შეიცავს: „თავისუფლება და სარჩო" (მართლაც, თუ გინდა, რომ მთავრობამ თავი დაგანებოს და თქვენ საქმეებში არ ჩაერიოს, რა სვინდისით სთხოვთ მას სუბსიდიას? ხოლო თუ მთავრობის სუბსიდიას იღებთ, მაშინ რა უფლება გაქვთ იგი არ გარიოთ არც ერთ თქვენს საქმეში?), მაგრამ რეალურად ორივე მოთხოვნაში კონკრეტული შინაარსი დევს. სოფლის რეგულირების ახალმა, დამატებითმა წესებმა მართლაც შეზღუდა სოფლის მოსახლეობის ორიოდე ბიზნესი და სუბსიდიების მოხსნის გეგმა მართლაც, ცოტა არ იყოს, აშინებს ფერმერს, რომელიც იძულებული გახდა უფრო დაძაბულად იფიქროს სარჩოს მოპოვებაზე. ერთ-ერთი მწვავე მოთხოვნა ისაა, რომ ხელისუფლებამ ხელი აიღოს... მელაზე ნადირობის აკრძალვის გეგმაზე (თუმცა ამ სპორტს წელიწადში სულ 43 000 მელა ეწირება, ავტოტრანსპორტს — 100 000 და ფერმერთა საფანტს — 100 000). ვნებათა გახურებაში მონაწილეობს ისიც, რომ სოფლელებს არ უყვართ ლონდონი მისი მუშათა კლასით, იმიგრანტებით, უწლოვანთა ფეხმძიმობით და სხვა




სოფლელებმა ლონდონს შეუტიეს („ფაინენშელ ტაიმსი")

„ცივილიზაციისმიერი" სიკეთეებითურთ). და მაინც... 22 სექტემბრის 400 ათასიანი დემონსტრაცია ურთიერთკეთილმოსურნეობის, ღიმილის, სითბოს და, რაც მთავარია, პოლიციელებისა და მანიფესტანტების ურთიერთსიმპათიის საოცარი გამოფენა იყო.

# „ერაყს აღვადგენთ ერთიან დემოკრატიულ სახელმწიფოდ"

ეს სიტყვები ეკუთვნის აშშ პრეზიდენტის მრჩეველს უშიშროების საკითხებში კონდოლეტა რაისს და ეხება იმ დროს, როცა სადამ ჰუსეინი უკვე გადაგდებული იქნება. ქალბატონმა რაისმა თავის ინტერვიუში „ფაინენშელ ტაიმსში" ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „თავისუფლების, დემოკრატიისა და თავისუფალი მეწარმეობის ღირებულებები არ ჩერდება ისლამის კართან". აშშ დაინტერესებულიაო თავისუფლების წინსვლითა და დემოკრატიზაციით ისლამის სამყაროში". მან თქვა, რომ „ისეთ ადგილებში, როგორიცაა ბაჰრეინი, კატარი და გარკვეულწილად იორდანია" „ბევრნი არიან რეფორმისტული ელემენტები", რომელთა ხელშეწყობა ამერიკელების სურვილს შეადგენს. მან მოუწოდა გაეროს უშიშროების საბჭოს, მიიღოს „მკაფიო რეზოლუცია, რომელიც მოიცავს ამ რეზოლუციის შესრულებინების ეფექტიან ზომებს".

ეროვნული ბიბლიოთეკა





**ინტერვიუ შიდა ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსთან, პოლიციის გენერალ-მაიორ ნოდარ დალაქიშვილთან**

# ნოდარ დალაქიშვილი: „ოსური მხარის კრიმინალებთან ქართული მხარის კრიმინალების და ე. წ. „კაი ბიჭების“ ალიანსის არაერთი ფაქტი ფიქსირდება“

**— ბატონო ნოდარ, ცხოვრებამ საკმაოდ რთული უბანი არგუნა შიდა ქართლის სამხარეო სამსახურის თანამშრომლებს. მხარის ოთხი რაიონი და კიდევ, დიდი და პატარა ლიახვის ხეობები უშუალოდ ესაზღვრებიან ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონას, რაც ძალზე ართულებს ოპერატიულ მდგომარეობას და გამოძიების დღის წესრიგში დგას აქ მომხდარი დანაშაულებრივი მოვლენები. როგორი ვითარებაა დღეს?**

— ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონა მთელი ქვეყნის პრობლემაა. იურიდიულად გაუკონტროლებელი ტერიტორია სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს. ორივე მხარის წარმომადგენლები საკმაოდ ეფექტურად იყენებს ამას. ჩამოყალიბებულია ქართული და ოსური მხარის კრიმინალური სამყაროს ორგანიზებული, დანაშაულებრივი ჯგუფები, რომლებიც ახდენენ მოტაცებული ავტომანქანების რეალიზაციას, ნარკოტიკების ბრუნვას და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით ძაბავენ სიტუაციას.

ამას ემატება კონტრაბანდული, აღურიცხავი ტვირთების შემოდინება ჩრდილოეთიდან. ხეობებში და ახლომდებარე სოფლებში ყაჩაღური თავდასხმების ჩადენის ძირითადი ნაწილი, უშუალო შემსრულებლები, ნაცნობ ზონიდან არიან და იქვე იმალებიან. რომელ ტერორიზმზეა ლაპარაკი, როცა ხელთა გვაქვს ინფორმაციები ოსური მხარის კრიმინალებთან ქართული მხარის კრიმინალების და სხვა ე.წ. „კაი ბიჭების“ ალიანსების არაერთ ფაქტზე. შედეგი — ადამიანის გატაცებები, მკვლელობები, ყაჩაღობები. დღევანდელი სიტუაციის შემხედვარეს, ზოგიერთ ცნობილ ეროვნულ მოღვაწეებს, ალბათ საფლავშიც არ ექნებათ მოსვენება.

ჩვენ ვცდილობთ ურთიერთთანამშრომლობას, მაგრამ როცა საჭიროა დანაშაულში ეჭვმიტანილის დაკავება და სხვა საპროცესო მანიპულაციების შესრულება, უკვე ბარიერებს ვაწყდებით, თითქმის ყველა მძიმე დანაშაულის ჩადენაზე გვაქვს რეალური ოპერატიული თუ ძიებით დადასტურებული მონაცემები, მაგრამ კონკრეტულ პირებთან ვერ ვმუშაობთ. მეტიც, ძებნილებიც მშვიდად არიან ცხინვალსა და მის რაიონში.

უკიდურესად დაძაბულია მდგომარეობა დიდი ლიახვის ხეობაში. სადაც დაფიქსირდა სერიული მკვლელობები სხვადასხვა ნიადაგზე, ყველა მათგანი განსაკუთრებულ კონტროლზეა და არც გახსნის პერსპექტივებია დაკარგული, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ კონკრეტული და დადასტურებული ბრალდების გარეშე ვერავის დავაკავებ. რეალური იმედი გვაქვს, რომ ხეობაში მომხდარი მძიმე დანაშაულები გაიხსნება. რაც შეეხება ერთ-ერთი სერიოზული ყაჩაღური ჯგუფის დაკავებას, მაგრამ მათ საქმეზე დიდი კავშირები აღმოჩნდათ ოსურ მხარესთან და ამ მიმართულებით უკვე ჭირს მუშაობა. კიდევ ერთი, ხეობაში დისლოცირებულმა, ქურთის შს განყოფილების პირადმა შემადგენლობამ უნდა გაითავისოს, რომ წესრიგის დაცვა ხეობაში მათი საქმეა და მათ მაგივრად ამას არავინ გააკეთებს. განყოფილება აღჭურვილია, დაკომპლექტებული და თითოეულმა მათგანმა უნდა იცოდეს — კანონთან მიმართებაში ყველას ერთნაირად მოეთხოვება. აქ არც მეზობლობაა და არც ნათესაობაა შემამსუბუქებელი. მთავარმა სამმართველომ ხეობის ხელმძღვანელობასთან ერთად ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ განყოფილებას სრულყოფილი სახე მიეღო. საჭიროა, მხოლოდ, პირადი პასუხისმგებლობის და პროფესიონალიზმის ამაღლება.

ერთი სიტყვით, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საკითხი და მისი სტატუსი უნდა გადაწყდეს, მისი გაჭიანურება უფრო გაართულებს სიტუაციებს და ჩვენც, ალბათ, მოგვეცემა საშუალება კონკრეტული დანაშაულის შემთხვევაში ოპერატიული საგამოძიებო მოქმედებები ჩავატაროთ იქ, სადაც საჭირო იქნება.

**— თქვენ, როგორც სამხარეო სამართველოს უფროსი, რას მიაქცევდით ყურადღებას 2002 წელს?**

— ველოდებით რეფორმებს, ყოველივე ამას კი სჭირდება ფინანსური უზრუნველყოფა. რა უნდა ვთქვათ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, რომელიც ფაქტობრივად არა გვაქვს, ელემენტარულად არ არის ტრანსპორტი. კავშირგაბმულობის საშუალებები, შეიძლება ამის გარეშე ნორმალურ ქვეყანაში პოლიციის მუშაობა? უკიდურესად უჭირს პოლიციის დანაყოფებს და პირად შემადგენლობას.

**— მაშინ, ალბათ, ბევრი თანამშრომელი უნდა ტოვებდეს პოლიციის რიგებს. მართლ, ასე არ არის...**

— რატომ არ გარბიან — იტყვის მავანი. სად გავიქცეთ, ჩვენ წასასვლელი არსად გვაქვს, იმედით ვუყურებთ მომავალს. რა, რატომ სხვები არ გარბიან, სხვა სამსახურში თავზე გადასდით ცხოვრება თუ? ვინც დღეს სახელმწიფო სამსახურს არ ტოვებს, დასაფასებელი ის არის სწორედ.

რაც შეეხება ნაკლოვანებებს, ისევე როგორც არაბაკლებ სხვა უწყებებში, ჩვენთანაც არის პრობლემები კადრებში. გვაკლია პროფესიონალები, მაღალი შეგნების და ინტელექტის მუშაკები. მაგრამ ერთი მითხარით, საიდან უნდა მოვიდეს ასეთი კადრები. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, არ ვიცი, როგორი იყო სასწავლო პროცესები.

და კიდევ — მივაქციოთ ყურადღება — ახალგაზრდებში უალრესად გაიზარდა კრიმინალური მენტალიტეტი, პატივისცემა ე.წ. „შავი სამყაროს“ — „ქურდული სამყაროსადმი“, გაიზრდებიან ესენი და მიხვდებიან მცდარ აზრს, მაგრამ გვიან იქნება. ამას ყურადღება თითოეულმა ოჯახმა უნდა მიაქციოს. ნარკომანიამ ხომ დაანგრია ყველაფერი, მხარის რაიონებში თითქმის კატასტროფული მდგომარეობაა, მაგრამ ერთი ფაქტის გარდა ვერ მახსენდება, რომ მოსულიყოს ოჯახის წარმომადგენელი და ეთხოვოს შველა. იქნება ერთად დროზე მივხედოთ და მთლიანი თუ არა, ნაწილობრივი შედეგი მაინც მივიღოთ. რეალური პოზიცია დღეისათვის კი ასეთია — თუ პოლიციაში ნარკოტიკების მოხმარებისათვის მოხვდება ვინმე, ამუშავდება დაცვის მექანიზმი, ხელის დაფარება და სხვა არის პოლიციის მხრიდან დარღვევები, მაგრამ ამასაც ერთად უნდა ვებრძოლოთ. მე თვითონ მაქვს წინააღმდეგობრივი გრძნობა მასზედ, რომ ნარკოტიკების მომხმარებელიც ციხეში გაუშვათ — იქ გამოსწორება ილუზიაა, იი, ჩამოყალიბება კი — რეალობაა. მაშ რა გავაკეთოთ? ქვეყანაში სისტემა ამ მიმართებით ჯერ არ არის სრულყოფილი. კიდევ ერთი სირთულე, დღეს, როცა უნდა ებრძოლო ნარკოტიკების გამსაღებელს, ნარკომანებს მა სხვა გზა გამოხატე. თითქმის ყველა გამსაღებლად იქცა. ათასნაირი გზებით შეიძლება მოძრაობა ცხინვალისკენ, დაწყებული, საზოგადოებრივი ტრანსპორტით და ფეხით დამთავრებული, რაც შეეხება ნარკოტიკების გამსაღებელს — მათ მიმართ უნდა შეიქმნას საზოგადოებაში მიუღებლობის ატმოსფერო. მე თუ მკითხავთ, გამკაცრების თვალსაზრისით, მათ მიმართ სასჯელის ზომაც უნდა შეიცვალოს.

**— მოსახლეობის ერთი ნაწილი პოლიციის მიმართ უნდობლობას და გაუცხოებას განიცდის. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?**

— ამას ბევრი მიზეზი აქვს. იყო პერიოდი, როცა პოლიციის მიმართ ხალხი ნდობას და პატივისცემას გამოხატავდა. დღეს პოლიცია, რაღაც ურჩხულად და მონსტრად არის წარმოდგენილი. არის დარღვევები და არიან დამრღვევები.

უნდა ვთქვა, რომ პოლიცია არცერთ ქვეყანაში არ უყვართ. დამოკიდებულება ყველგან სხვადასხვა კრიტერიუმებით განისაზღვრება. მაგრამ ფაქტია, ხელს არ უშლიან და ასე ვთქვათ, ცივი გონებით ეხმარებიან. დღეს ყველას უნდა ყაჩაღის, მკვლელის, მძარცველის, თუ ავტომანქანის გამტაცებლის, ნარკოტიკის გამსაღებლის მხილება და დაკავება, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ისე, რომ მოქალაქეს არ უნდა შეეხოს არცერთი საპროცესო საკანონმდებლო მოთხოვნა. ძირითადი — მოწმე ანუ დამსწრის ფუნქცია, რომლის ინსტიტუტიც — ვიყოთ გულახდილნი, არ არსებობს. გადამეტებულმა ლიბერალიზმმა საზოგადოებას გული გაუტეხა. ნდობის ფაქტორი დააკარგვინა. ხელთა გვაქვს უნდობლობის მეტად საშიში სინდრომი. მე გულახდილად გეტყვით — კრიმინალებს აქვთ დასაყრდენი მოსახლეობაში, ანუ ის, რაც პოლიციას არ აქვს. ერთი მაგალითი — რამდენიმე ხნის წინ შეიარაღებული ყაჩაღობის დროს, პოლიციელმა ტაბელური იარაღით წინააღმდეგობა გაუწია ყაჩაღებს, ერთ-ერთი მათგანის მიმართ მოახდინა გასროლა და დაჭრა ფეხის არეში. პოლიციელი ზურგიდან გასროლით ვერაგულად მოკლეს. დაჭრილმა შემდგომში, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, არაერთი სოფელი გაიარა და თავი შეაფარა. დამერწმუნეთ — ის იტყოდა, რომ პოლიციელი დაჭრა და მისთვის გარანტირებული იქნებოდა დამხმარეც და თავშესაფარიც. მაგრამ მათ რომ პოლიციელი მოკლეს, ეს პოლიციის და პროკურატურის გარდა არავის აფიქრებს. მკვლელი დღემდე დაუკავებელია. ასეთი დამოკიდებულების არაერთი მაგალითის მოყვანა შემიძლია. ნებისმიერის ნაწილის ბრძოლაში საჭიროა ერთიანი, მტკიცე პოზიცია წინააღმდეგ შემთხვევაში დამერწმუნეთ — მეტად საშიში სინდრომები ვითარდება

**ნანა ძველაია**

---

# პ. ნ. შონია
# ბოროტების სათავე, ანუ როგორ შეთითხნეს „მეგრელთა საქმე“

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №8, 9, 10

## სტალინის სიკვდილი

რეპრესირებულთა განთავისუფლება და შემდეგ მათი რეაბილიტაცია უშუალოდაა დაკავშირებული სტალინის სიკვდილთან. დანამდვილებით ჯერჯერობით არავინ იცის სტალინის სიკვდილის ნამდვილი მიზეზები, მაგრამ საზოგადოებაში გავრცელებული აზრის მიხედვით არსებობს სხვადასხვა ვერსია[1].

## ზოგიერთი რამ ლ. ბერიას შესახებ

ახლა მოვლენათა განვითარების არსში სიცხადის შეტანის მიზნით საჭიროა, ცოტა უკან დავიხიოთ და მკითხველს გავაცნოთ ზოგიერთი დეტალი ლ. პ. ბერიას შესახებ.

ძიკი კვარაცხელია განთქმული მეჯოგე იყო. იგი ტოლს არ უდებდა ასევე განთქმულ მეჯოგეს ჯარნაზ არქანიას, რომელსაც „კრასნაია პოლიანას“ მიდამოებში ჰყავდა 3000 სული საუკეთესო ჯიშის მსხვილფეხა პირუტყვი. ჯოგს 50-ზე მეტი მწყემსი უვლიდა. ჯარნაზს, ასევე ძიკის ბანკში ჰქონდათ გახსნილი ანგარიში, ჰქონდათ ჩეკი და თავიანთი სურვილისამებრ განაგებდნენ საკმაოდ სოლიდურ თანხებს.

ძიკი კვარაცხელიას სახელთანაა დაკავშირებული „კვარაცხელიას ჯიშის“ განთქმული მეგრული ძროხა, ამ ჯიშის ძროხის რძე ცხიმიანობით კამეჩის რძეს უახლოვდება, თანაც კამეჩთან შედარებით ნაკლებ საკვებს საჭიროებს.

ძიკის საძოვრები არენდად ჰქონდა აღებული გურიაში, ბახმაროს მიდამოებში, თავადების გურიელისა და მაჭუტაძისაგან. ძიკის ცოლშვილი არ ჰყავდა, შვილივით ზრდიდა და ეფერებოდა ერთერთი ძმის შვილს დიმიტრის. იგი ზაფხულობით დაყავდა გურიაში. მეტად მოხდენილი ტანის და ლამაზი სახის ახალგაზრდა მნახველში ცოცხალი და ჭკვიანი ყმაწვილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამასთან ერთად დიმიტრი კარგი ცხენოსანი იყო, ჰყავდა ყაბარდოს ჯიშის საუკეთესო ცხენი. დიმიტრიმ ბახმაროში გაიცნო გურიის თავადის — ჯაყელის ქალიშვილი მართა. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და მალეც შეუღლდნენ. ეყოლათ ბიჭი, რომელსაც კაპიტონი დაარქვეს. კაპიტონი ხუთი წლის იყო, როდესაც დიმიტრი ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. დაქვრივებული მართა საცხოვრებლად გადმოდის კვარაცხელიებთან სოფელ ჯგალში (წალენჯიხის რაიონი). მართა ლამაზი ქალი იყო. ავიენების მიერ დაირხა ჭორი, თითქოს მართას ერთერთი მაზლი უყვარდა. ეს უკანასკნელი სასულიერო პირი იყო. ჭორმა ძიკის დანარჩენი ძმების და ახლო ნათესავების ყურამდე მიაღწია. შეიქმნა მეტად გაუსაძლისი უხერხულობა. ამ ამბის დადასტურება დიდი სირცხვილი იქნებოდა მთელი საძმოსათვის. თუმცა ყველაფერი ეს მტკნარი სიცრუე იყო. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ გადაწყვიტეს გაეთხოვებინათ მართა. ასეც მოხდა. ქალი მიათხოვეს სოხუმის რაიონის სოფელ მერხეულის მცხოვრებ 50 წლის კაცს — პავლე ბერიას. მართას კვარაცხელიებმა მზითვად გაატანეს 12 სული ძროხა, 22 სული ცხენი და დიდძალი სხვა ქონება. მართას მალე ბიჭი შეეძინა, რომელსაც დაარქვეს ლავრენტი.

ლავრენტი ცოცხალი და ჭკვიანი ბავშვი იყო, თანაც, სწავლის მოყვარული. შვიდი წლის ასაკში იგი შეიყვანეს სოხუმის „უმაღლეს დაწყებით“ სასწავლებელში. მართა სასწავლებლის დამთავრებამდე შვილთან ერთად ცხოვრობდა ერთოთახიან ბინაში. ლავრენტიმ სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა. იგი დაინტერესებული იყო არქიტექტურითა და სამშენებლო საქმით. ამ მიზნით ის მიემგზავრება ბაქოში. 15 წლის ყმაწვილი შედის ბაქოს სამშენებლო-მექანიკურ საშუალო-ტექნიკურ სასწავლებელში. 1919 წელს წარმატებით ამთავრებს სასწავლებელს და ღებულობს მშენებელი არქიტექტორის სპეციალობას. ბაქოში ცხოვრობდა და მუშაობდა მართას პირველი შვილი კაპიტონ კვარაცხელიაც.

ლ. პ. ბერია 1917 წელს შედის რსდმპ(ბ) რიგებში. მაშინ იატაკქვეშეთში მყოფი პარტიის კავკასიის ბიუროს მდივანი იყო ძველი რევოლუციონერი ვიქტორ ნანეიშვილი, კავკასიის ბიუროს შემადგენლობაში შედიოდა მთელი ამიერკავკასიის, ჩეჩნეთ-ინგუშეთის, დაღესტანის და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონების ორგანიზაციები. იატაკქვეშა ბიურო იმყოფებოდა ბაქოში, რომელიც მაშინ მუსავატებს ეჭირათ. კავკასიის ბიუროს დავალებით ბერია შედის მუსავატების პარტიაში. აღნიშნულ პარტიაში იგი შევიდა მისი ბაქოელი მეგობრის მირზა ბაალის რეკომენდაციით. მანვე გააცნო ბერიას მირჯაფარ ბა-

გაგრძელება მე-8 გვ.

1. ავტორი გადმოგვცემს რამდენიმე ვერსიას, რომელიც გავრცელებული იყო საზოგადოებაში იმ დროს. ეს ვერსიები ეხება მხოლოდ სტალინის ურთიერთობას პოლიტბიუროს ამა თუ იმ წევრებთან. ჩვენ ამ მსჯელობას გამოვტოვებთ, რადგან დამოუკიდებელ ან ახალ ინფორმაციას ეს ვერსიები არ შეიცავენ. ზემოთ უკვე გვქონდა მსჯელობა სტალინის მოკვლის ნამდვილ მიზეზზე: მეთქმულებმა იგი მოკლეს იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მათ მოკლავდა და პოლიტბიუროს ახალგაზრდებით დააკომპლექტებდა. ხოლო მათ იგი იმიტომ მოკლავდა, რომ იცოდა: ისინი მოინდომებდნენ პოლიტიკის რადიკალურ შეცვლას იმის გამო, რომ სსრკ ჩინეთთან ერთად დამარცხდა კორეის ომში დასავლეთის წინააღმდეგ. პოლიტიკის შეცვლა კი სტალინის ხელით შეუძლებელი იყო. ამას ხელისუფალთა შეცვლა სჭირდებოდა. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეკლამა. რეკლამა. რეკლამა!

## სენსაციური სათაურები... მუქთად!

არა, მე რეკლამის წინააღმდეგი როდი ვარ, არც ისე რეგვენი ვარ, რომ იმდენი არ მესმოდეს, რეკლამის გარეშე ვერაფერს ვერ გაასაღებ. რა თქმა უნდა, აქ გასაღებაზეა საუბარი, თორემ, რაც საუკეთესოა, იმას ქება-დიდება და გასაღება არ სჭირდება. მიტროფანე ლაღიძის (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული) წყლების ბადალი, მსოფლიოში არ არსებობდა და არც ახლა არსებობს, მაგრამ მე არ მახსოვს, ვინმეს მისი რეკლამა გაეკეთებინოს. უბრალოდ ეწერა „ლაღიძის წყლები", მაგრამ ფუტკარივით ესეოდა ხალხი. ვინც კი ერთხელ მაინც იგემა, შინაური იყო თუ გარეული, საუკეთესო სიტყვებს არ იშურებდა მის საქებად.

ახლა გადაივსო მთელი თბილისი უგემოვნებოდ და უნიჭოდ შესრულებული სარეკლამო აბრებით. რბილ დივანზე წამოწოლილი ხარებით თუ ძროხებით, ავეჯისა თუ სხვა საოჯახო ნივთების ფოტოებით, სიგარეტების და ალკოჰოლური სასმელების ქება-დიდებით, თან იმის შეხსენებით, რომ „ნიკოტინი მავნებელია ჩვენი ჯანმრთელობისათვის". იმას კი არავინ აცხადებს, რამდენი ხალხი იწამლება და არც თუ ისე იშვიათად იხოცებიან კიდეც, სხვადასხვა დასახელების არაყით.

რა „ჭკვიანური" და „დამაჯერებელია" „ორბიტის" რეკლამა: „არაფერზე არ დათანხმდეთ „ორბიტის" გარდა! — აცხადებს ეკრანიდან გაღიმებული მშვენიერი ქალიშვილი და თეთრ კბილებს აელვარებს. აკი, არც დავთანხმდი ჩემს მეგობრებს, დაბადების დღეზე რომ იაპონური, საუკეთესო ტელევიზორი მოერთმიათ, და როცა მკითხეს, რა გიყიდოთო? „რა თქმა უნდა, „ორბიტი"-მეთქი". ღმერთმა ააშენოს მათი ოჯახები, რაც იმის ღეჭვა დავიწყე, ოთხი სალეჭი და ორი სარძევე კბილი ამომივიდა 65 წლის ასაკში. ისე ვამტვრევ კბილით თხილს და კაკალს, გარეულ ტახსაც შეშურდება.

ყველაზე უფრო მაინც პრეზერვატივებისა და „ოლვეის ულტრას" რეკლამა მხიბლავს, ოღონდ იმაზე მწყდება გული, რომ ხმარების წესს პრაქტიკულად არ უჩვენებენ.

პირველად რომ ვნახე გაზეთ „24 საათის" რეკლამა, ისე მომეწონა, ერთი საათი ვიცინოდი. მერე, როცა ყოველ ხუთ წუთში ერთხელ დაიწყეს მისი ჩვენება, დალაქიც შემზიზლდა, სადალაქოც, სამართებელიც, მაკრატელიც და, რა თქმა უნდა, „24 საათიც".

განსაკუთრებით საინტერესოა ჟურნალ-გაზეთების გასაღების მიზნით ყდებზე გამოტანილი სენსაციური სათაურები. ამ სათაურებისა და წერილების შინაარსი, არცთუ ისე იშვიათად, არ ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მკითხველს აინტერესებს მაგალითად როგორ მიუყვანა ვახტანგ კოტეტიშვილს (ჩემთვის ერთ-ერთ სათაყვანებელ პიროვნებას) კატამ ნაშა. თუ კატამ ბატონ ვახტანგს კატა მიუყვანა ნაშად, ნამდვილად გაუჭირდება ორთავეს, მით უმეტეს, თუ უსაფრთხოების წესების დაცვა არ იცის ბატონმა ვახტანგმა. თუ კატამ ნაღდად კაი ნაშა მოუყვანა, მე მგონი, არც ეს იქნება ბატონი ვახტანგისათვის დიდად ხელსაყრელი, ვინაიდან იმ ასაკშია, რომ ნაშას „კაშა" ურჩევნია.

„თემურ ჭყონია პოლიტიკოსებს უჩივის, სოფო ჭყონია კი — ქართველ მამაკაცებს". ამის წამკითხველი კაცი იმ წუთას იტყვის: „სასწაულია, პირდაპირ, ვინც პირველი დამნაშავეა საქართველოს დაქცევა-გადაშენებაში, იმას ეფერება, სანამ 7 თვის ბავშვივით ხელით გადასაყენებელი არ გახდება, მანამდე მოითხოვს მის პრეზიდენტად ყოფნას და სხვა პოლიტიკოსებს რას ერჩისო? ან სოფო ჭყონიას რა აქვს გასაყოფი ქართველ მამაკაცებთან?!

სხვათა შორის, მეც ხშირად მომდის ხოლმე აზრად სენსაციური სათაურები და ვფიქრობ, არ იქნება ურიგო თუ პრესის მუშაკები გამოიყენებენ. კი, ბატონო, ამ სათაურების 99 ტყუილია, მაგრამ ხომ სენსაციურია. თუ სენსაციურია, ეი. კარგია! და თანაც მუქთაა!

აი, ჩემი ფანტასტიკის ნაყოფიც: „რატომ დააჯილდოეს ნაგებული ომის „გმირები" მედლებითა და ორდენებით?!"; „არიან თუ არა ღირსეულნი მათ შორის, ვისაც „ღირსების ორდენი" არ გააჩნია?"; „არიან თუ არა არაკორუმპირებული პირები მთავრობაში, პარლამენტში, პოლიციაში, თავდაცვაში და სხვა სამთავრობო დაწესებულებებში?"; „სატელევიზიო რეკლამების გარდა, კიდევ რა იწვევს ნევროზებსა და ფსიქოზებს?"; „სად აპირებს ქართველი ხალხი გადასახლებას, ქართული მიწების მთლიანად გაყიდვის შემდეგ?", „ჯარი მეტი გვყავს, თუ დეზერტირი?"; „როგორ მოხვდა ერეკლეს დროინდელი ზარბაზნები ჩვენს შეიარაღებაში და მათზე ხომ არ არის გამოთქმა: „თუნდ მუგუზალი დაადე, მაინც არ გავარდებაო"?"; „ვინ „ხელმძღვანელობს ხოლმე შაბათობებს ხაზინის გასუფთავების დროს?"; „რამდენი ქართველი პედერასტი გათხოვდა ჰოლანდიაში და არის თუ არა მათ შორის ვინმე ორსულად?"; „ვალი რომ ჯოჯოხეთს ანათებდეს, საქართველო გაჩახჩახებული იქნებოდა"; „გვეყოლებოდა თუ არა პრეზიდენტი, მუცელი რომ მოშლოდა შევარდნაძის დედას?"; „რატომ ჰქვია ანტიქართულ მოძრაობას „თავისუფლების ინსტიტუტი" და ვის თავისუფლებაზე ზრუნავენ ისინი?"; „რას ეტყვის საიქიოში დავით აღმაშენებელს გიორგი გადამშენებელი?"; „ვის წისქვილზე ასხამს წყალს, სილატაკით წყალწაღებული ხალხისათვის სასმელი წყლის გაძვირება?"; „რა ენაზე ლაპარაკობდა ალექსანდრე მაკედონელის ქართველი ბებია"; „ვისი პრეზიდენტია ედუარდ შევარდნაძე, თუ არ არსებობს საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო?"...

**ნიკოლოზ იოსებიძე**



## გზა ცათა სასუფევლისა



ინტერვიუ დეკანოზ ზაქარია ძინძიბაძესთან

**— მამა ზაქარია, ჩვენ ვისაუბრეთ ქორწინების დროს ჯვრისწერის აუცილებლობაზე. თუმცა, ბედნიერი ოჯახის შესაქმნელად ეს, როგორც ჩანს, საკმარისი არ არის. ჯვარდაწერილი ოჯახებიც ინგრევა ხოლმე. რა არის საჭირო იმისათვის, რომ ბედნიერი ოჯახი შევქმნათ?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

## ოჯახი რომ ბედნიერი იყოს...

მოდით, ჯერ ვთქვათ, როგორია ბედნიერი ოჯახი. ადამიანური წარმოდგენით, ეს ალბათ, მოსიყვარულე ცოლ-ქმარია, რომელთაც ჰყავთ შვილები. ქმარი დადის სამსახურში, ცოლი უვლის ოჯახს, შვილები ბეჯითად სწავლობენ. საღამოს ყველა ერთად იკრიბება და თითოეული მათგანი ცდილობს სხვას ასიამოვნოს. ამ ადამიანებს ყველაფერი საერთო აქვთ, ჭირიც და სიხარულიც.

თუ ცოლ-ქმრული კავშირის საფუძველი ცხოველი ქრისტიანული სარწმუნოებაა, ოჯახური ტვირთის ტარება მსუბუქად ხდება. ოჯახი რომ ბედნიერი იყოს, მეუღლეებმა უნდა იცოდნენ თავიანთი უფლება-მოვალეობანი. ოჯახური ბედნიერებისათვის ზრუნვა სწორი არჩევანით იწყება. კეთილი ცოლი ღვთის მადლია: „ბედნიერია კარგი ცოლის ქმარი და რიცხვი მისი დღეებისა გაორმაგდება. ერთგული ცოლი ახარებს თავის ქმარს და მის წლებს სიმშვიდით ალავსებს. კარგი ცოლი კარგი ხვედრია, წილად ერგებათ უფლის მოშიშებს" (ზირაქ. 26, 1-3).

იგივე შეიძლება ითქვას ქმარზე. ქმარი თავია ცოლისა და როგორი ქმარიც შეხვდება ქალს, ისე წარიმართება მისი ცხოვრება.

ადამიანის ცხონება ძალიან ძნელია. შვიდ საიდუმლოთაგან ქორწინება ერთ-ერთია, რომელიც აუცილებელია ცხონებისათვის.

არჩევანი რომ სწორი იყოს, მომავალ მეუღლეში უნდა ვეძებოთ წმინდა გული და კეთილი ზნეობა და არა გარეგნული სილამაზე და სიმდიდრე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე.

ჯერ უნდა მოიფიქრო, ვინ იქნება შენი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი და მერე უნდა იქორწინო. ქორწინების შემდეგ კი არ უნდა დაიწყო ფიქრი, ეს ვინ მოვიყვანე, ან ამას ვის გავყევიო. ბედნიერი რომ იყოს ოჯახი, მეუღლეებმა თავისი მოვალეობები უნდა იცოდნენ.

**— რა მოვალეობები აკისრიათ მათ?**

— ოჯახის ტვირთი უნდა გაინაწილონ. ცოლქმრობა მარტო ლოგინის ურთიერთობით არ განისაზღვრება. ეს არის ურთიერთზრუნვა, თანადგომა, მეურნეობის გაძღოლა და შვილების აღზრდა.

**— რა ევალება ქმარს?**

— „ქმარი არს თავ ცოლისა, ვითარცა ქრისტე არს თავი ეკლესიისა" (ეფ. 5.23) — ბრძანებს წმინდა მოციქული პავლე. ეს მეთაურობა პირველი და უმთავრესი უფლება-მოვალეობაა ქმრისა. მან ისე უნდა შეიყვაროს ცოლი, როგორც ქრისტემ ეკლესია (ეფ. 5.25). ამასთან ერთად ქმარი მოვალეა, იზრუნოს ოჯახის წევრების სულიერ და ფიზიკურ საზრდოზე.

**— რა მოვალეობები აკისრია ცოლს?**

— „ცოლნი თავისთა ქმართა დაემორჩილნენ, ვითარცა უფალსა" (ეფ. 5.22). ცოლი მოვალეა, უყვარდეს ქმარი და იყოს მისი მორჩილი. მორჩილება ზნეობაა, ბატონ-ყმობას და მონობას კი არ ნიშნავს, ცოლი და ქმარი ერთმანეთის მორჩილი და გამგები უნდა იყოს და ერთმანეთის პატივისცემით და სიყვარულით უნდა უძღვებოდეს ოჯახს.

**— როცა მეუღლეები კამათობენ, თუ ქმარი არასწორია, მაინც ცოლმა უნდა დაუთმოს?**

— როცა ადამიანი არასწორად ფიქრობს და იქცევა, ეი. ეშლება და ვერ ხვდება. ამიტომ ჯობია, გარკვეული დროით დაველოდოთ, სანამ არ მიხვდება, რომ ეშლება. ცოლს სპეციფიკური მიდგომა უნდა ჰქონდეს ქმართან, როცა იგი გარეთ ვინმეზე ბრაზდება და ვერაფერს ეუბნება, სახლში ცოლზე იყრის გულის ჯავრს. ქალი არ უნდა აჰყვეს იმ წუთში გაბრაზებულ ქმარს. მერე განიმუხტება კაცი, დაშოშმინდება, მივა და ისევ მოეფერება მეუღლეს. თუ აჰყვება ქალი, კაცი სულ გადაირევა, და არაფრის გამო შეიძლება ცუდი შედეგიც მივიღოთ.

**— ხშირად ამბობენ, რომ ოჯახის სიწმინდის დაცვა მხოლოდ ქალს ევალება, კაცს კი ყველაფრის უფლება აქვს...**

— როგორ გეკადრებათ, არავითარ შემთხვევაში. ღალატი ღალატია და მრუშობა — დანაშაული. ეს ცოდვა, ღვთის წინაშე არც ერთს არ ეპატიება, პასუხი ორივეს ერთნაირად მოეთხოვებათ.

**— ბევრი მამაკაცი მიიჩნევს, რომ ცოლი შინ უნდა იჯდეს...**

— დღევანდელ სიტუაციაში ეს ცოტა ძნელია. ისე ცხადია, სჯობია, დედა ბავშვების აღზრდაზე ხარჯავდეს ენერგიას და არა ვაჭრობაზე. მარტო ოჯახის პატრიოტებად ვზრდით შვილებს და ქვეყნის წინაშე პატრიოტული მოვალეობები გვავიწყდება.

**ნანა გელოვანი**

## გავწმინდოთ ორგანიზმი

ნებისმიერი ორგანოს გაწმენდა უნდა დავიწყოთ მხოლოდ მსხვილი ნაწლავის გაწმენდის შემდეგ. თუკი ასე არ მოვიქცევით, მაშინ წმენდა ყოველგვარ აზრს კარგავს. გავწმენდთ ამა თუ იმ ორგანოს, მაგრამ ცოტა ხანში გაუწმენდავი მსხვილი ნაწლავიდან წამოსული ჭუჭყი სწრაფად დაანაგვიანებს ისევ მას. ამიტომ ჯერ შემოგთავაზებთ მსხვილი ნაწლავის გაწმენდის ორ მარტივ მეთოდს.

### გაწმენდა ვაშლის საშუალებით

ყოველდღე 1 თვის განმავლობაში გავხეხოთ და შევჭამოთ უზმოზე 2-3 ვაშლი. მეორე თვეს იგივე გავიმეოროთ დღეგამოშვებით. ყველა შემთხვევაში საკვები უნდა მივირთვათ ვაშლის მიღებიდან 3 საათის გავლის შემდეგ.

### გაწმენდა ასკილით

ასკილის გამშრალ ნაყოფს კარგად დავფქვავთ, შემდეგ დავაორთქლებთ და ვლებულობთ ღამით, ვახშმიდან 2-3 საათის შემდეგ ნახევარი ჩაის კოვზის ოდენობით. წმენდის ხანგრძლივობაა ერთი თვე.

### სისხლძარღვების გაწმენდა

სისხლძარღვების გაწმენდას უმჯობესია წინ უძღოდეს ღვიძლის გაწმენდა (იხ. „საქართველო", №4, 2002 წ.).

რატომ არის აუცილებელი სისხლძარღვების გაწმენდა"

ოფიციალური მედიცინა აღიარებს ორგანიზმში შინაგანი სეკრეციის 40 ჯირკვლის არსებობას, იოგა — 400 ჯირკვლის, ხალხური მედიცინა — უფრო მეტის. ჯირკვლების ძირითადი ფუნქციაა გამოჰყოს სისხლში ჰორმონები, რომლებიც არეგულირებენ ამა თუ იმ ორგანოს მოქმედებას, და ანტისხეულები, რომლებიც ებრძვიან სხვადასხვა დაავადებებს.

როცა თვით „პრაქტიკულად ჯანმრთელი" ადამიანის სისხლძარღვების კედლები და მასთან ერთად ჯირკვლების სადინარები გაგლესილია ათასგვარი ნადებით, შლამით — ცხადია, სისხლში ჰორმონების და ანტისხეულების გამოყოფა შემცირებულია. რის გამოც დაავადებების მიმართ ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარი ეცემა. ამასთან ერთად დაგროვილი მხამების გავლენით სისხლძარღვთა კედლის ელასტიურობა მცირდება. რის გამოც, გულის კუნთის ინფარქტის, თავის ტვინში სისხლჩაქცევის წარმოშობის შესაძლებლობა იზრდება.

რა დაავადებებს ვმკურნალობთ ან თავიდან ავიცილებთ სისხლძარღვების გაწმენდით: მკვეთრად უმჯობესდება ორგანიზმში ნივთიერებათა საერთო ცვლა, რის შედეგადაც სისხლძარღვები ელასტიური ხდება. ყოველივე ამის შედეგად კი გულის კუნთი ინფარქტის, სტენოკარდიის, სკლეროზის, დამბლის, სხვადასხვა სიმსივნეების წარმოშობის შესაძლებლობა ისპობა. ხდება მხედველობის გაუმჯობესება, ორგანიზმი ახალგაზრდავდება.

### გაწმენდის მეთოდი №1:

დიდ თერმოსში ჩავყაროთ 1 ჩაის ჭიქა დანაყილი კამის თესლი და 2 სუფრის კოვზი დაფქული ვალერიანის ფესვები. დავუმატოთ 2 ჩაის ჭიქა თაფლი. დავასხათ მდუღარე წყალი 2 ლიტრის შევსებამდე და გავაჩეროთ 1 დღე.

მივიღოთ 1 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე, მანამ, სანამ მთელი ნარევი არ გათავდება.

### გაწმენდის მეთოდი №2

350 გ. ნიორი დავნაყოთ, შევურიოთ 24 ცალი ლიმონისაგან გამოწურულ წვენს და გავაჩეროთ 24 დღე, ბნელ, გრილ ადგილას. მიღების წინ შევანჯღრიოთ.

მივიღოთ ერთჯერ დღეში, ძილის წინ 1 ჩაის კოვზი ნარევი ნახევარ ჩაის ჭიქა წყალში გახსნილი.

### გაწმენდის მეთოდი №3

სისხლძარღვების გაწმენდის ტიბეტური მეთოდი ითვლება ყველაზე საუკეთესოდ, სრულდება 6 წელიწადში ერთჯერ და მაღალი ეფექტურობის გამო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ აღიარებულია საუკუნის ერთ-ერთ უმთავრეს რეცეპტად. სისხლძარღვების გასაწმენდად სპეციალური წესით მზადდება ნიორის სპირტხსნარით.

### გულის გაწმენდა

რატომ არის აუცილებელი გულის გაწმენდა: დროთა განმავლობაში გულის კუნთში გროვდება დაუძლურებული უჯრედები, ლორწო, ჭარბი მარილები და სხვა. ამასთანავე თუკი მსხვილი ნაწლავის ფუნქციები დარღვეულია, იმის გამო, რომ ვენური სისხლი სწორი ნაწლავის ქვემოთა ნაწილიდან ღვიძლში გავლის გარეშე, გაუსუფთავებელი სახით პირდაპირ გულში ხვდება — ეს დამატებით აჭუჭყიანებს გულს და საჭირო ხდება მისი გაწმენდა წელიწადში ორჯერ.

გაწმენდის შედეგად უმჯობესდება გულის მუშაობა, გულის კუნთი განახლდება და ინფარქტის წარმოშობის შესაძლებლობა მცირდება.

### გაწმენდის მეთოდი

ავიღოთ 1 ლიტრი რძე და 3 ცალი ლიმონი. დილით 1/3 ლ. რძეში ჩავწუროთ 1 ცალი ლიმონი და დავლიოთ. 12 საათზე იგივე გავიმეოროთ. ბოლოს ძილის წინ იგივე ნარევი მივიღოთ. მთელი დღის განმავლობაში სასურველია ვეგეტარიანული (უხორცო) კვება. გაწმენდის კურსი 2 კვირა გრძელდება, ე.ი. გვაქვს ჩასატარებელი სულ 14 პროცედურა.

**შ. საბახტარიშვილი. სამკურნალო წიგნი. ტ. III. თბილისი, 1997**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჩვენი ისტორია

მე-6 გვერდიდან

# ვ. ნ. შონია
# ბოროტების სათავე, ანუ როგორ შეთითხნეს „მეგრელთა საქმე“

გიროვი. ბერია მის მიერ მოპოვებულ სადაზვერვო მასალებს აწვდიდა ბაგიროვს, ეს უკანასკნელი კი მათ უგზავნიდა მეთერთმეტე არმიის დაზვერვას ასტრახანში. ასტრახანში პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლად მაშინ გახლდათ ანასტას მიქოიანი, ბერია კი მის მოადგილედ ითვლებოდა. ერთი წლის შემდეგ 1920 წლის გაზაფხულზე ბერია დააკავეს ქუთაისში, როგორც საბჭოთა რუსეთის აგენტობაში ეჭვმიტანილი. ქუთაისის ციხეში მან გაიცნო საშა გეგეჭკორი, აქ შეხვდა ის პირველად საშას ძმისშვილს ნინოს, რომელსაც „პერედაჩები“ მიჰქონდა ციხეში ბიძასთან.

საქართველოში საბჭოთა რუსეთის ელჩის, კიროვის თხოვნით ნოე ჟორდანიამ ბერია პატიმრობიდან გაანთავისუფლა. იგი მაშინვე გაემგზავრა ბაქოში, სადაც ამ დროს დამყარებული იყო საბჭოთა ხელისუფლება და საგანგებო კომისიის (ჩეკას) თავმჯდომარედ მუშაობდა მისი მეგობარი ბაგიროვი. ამ უკანასკნელმა ბერია ჯერ დანიშნა სამეურნეო ნაწილის უფროსად, ხოლო მოგვიანებით გადაიყვანა საიდუმლო პოლიტგანყოფილების უფროსად. 22 წლის კაცისათვის ეს დიდი ტრამპლინი იყო.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა მოახდინა დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა, ოკუპაცია და ანექსია. ბერია ბაქოდან გადადის თბილისში უფროს ოპერად. საშა გეგეჭკორის ძმისწული ნინო აგრონომიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო. ბერია პირდაპირ გამოცხადდა საშასთან და მორიდებული ტონით ნინოს ხელი სთხოვა. გეგეჭკორმა ამ კაცში დაინახა განათლებული და ენერგიული პიროვნება. მალე ლავრენტი და ნინო დაქორწინდნენ.

გენერალი დიმიტრი ვოლკოგონოვი თავის წიგნში „ტრიუმფი და ტრაგედია“ მიიჩნევს, თითქოს ბერია სტალინმა პირველად 1929-30 წლებში გაიცნო წყალტუბოში. ა. ანტონოვ-ოვსეენკოვი კი თვლის, რომ პირველი გაცნობა მოხდა 1924 წელს, როცა გენერალურმა მდივანმა მიიღო საქართველოს ცეკას და საგანგებო კომისიის (ჩეკას) პასუხისმგებელი მუშაკები. სინამდვილეში ორივე ავტორი ცდება, თვითონ ლ. პ. ბერიას შვილი სერგო ბერია (ამჟამად გეგეჭკორი) ამბობს (იხ. რაულ ჩილაჩავა „Сын Лаврентия Берия рассказывает“), რომ 1921 წელს ს. ორჯონიკიძემ სტალინს წარუდგინა ბერია, როგორც პერსპექტიული მუშაკი. ეს მოხდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, როცა სტალინი ჩამოვიდა თბილისში, ხოლო როდესაც 1924 წლის ცნობილი აჯანყების დამარცხების შემდეგ სტალინს წარუდგენენ საქართველოს ცეკას და საგანგებო კომისიის (ჩეკას) პასუხისმგებელ მუშაკებს, მას გაახსენდება ახალგაზრდა ჩეკისტი, რომელსაც თურმე გარდა ჩეკისტური დაგეშილობისა („სიფხიზლისა“) ახასიათებს პოლიტიკური ინტუიციაც. სტალინს ჯერ კიდევ ნაციონალურ საკითხთა სახალხო კომისრად მუშაობისას ზოგი რამ სმენოდა ბერიას შესახებ იმ „პოლიტიკური ტრაქტატის“ მიხედვით, რომელიც შეიცავდა საბჭოთა დაზვერვითი ორგანოების ბაქოში მუშაობის გეგმას და შედგენილი იყო ლ. ბერიას მიერ.



კანდიდ ჩარკვიანი

1923 წლის ბოლოს ბერია უკვე მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო პოლიტ-სამმართველოს (ГПУ) საიდუმლო ოპერატიული განყოფილების გამგედ, მალე მას აწინაურებენ ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტ-სამმართველოს უფროსის სტანისლავ რედენსის პირველ მოადგილედ.

ს. რედენსი, პოლიტიკური საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი ანდრეი ერშოვი, ლ. ბერია და სხვა წამყვანი ჩეკისტები დროს ყოველთვის ერთად ატარებდნენ. 1931 წლის აპრილის ერთ-ერთ დღეს, როდესაც ჩეკისტები ბერიას ბინაში ქეიფობდნენ, რედენსი ზომაზე მეტად დათვრა. მას მოსწონდა ჩეკას კანცელარიის ერთერთი ახალგაზრდა თანამშრომელი გოგო. სიმთვრალეში რედენსს შეეშალა საყვარლის ბინა და სხვის კარს მიადგა, დააკაკუნა. როცა ხმა არავინ გასცა, კარს ბრახუნი დაუწყო, მაგრამ არავინ გაუღო. როცა ბრახუნს არ მოეშვა, გამოვიდა ბინის პატრონი და ატყდა ჩხუბი. ხმაურზე მეზობლებმა გაიღვიძეს. ვიღაცამ მილიციას შეატყობინა. მოვიდნენ თანამშრომლები და რედენსი მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს. ეს ინციდენტი ცნობილი გახდა ზემდგომი ორგანოებისათვის, მათ შორის სტალინისათვისაც. რედენსი მოსკოვში გამოიძახეს, იგი სტალინმა ბელორუსიის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად გადაიყვანა. სტანისლავ რედენსი გადაარჩინა იმან, რომ მას ცოლად ჰყავდა ნადეჟდა ალილუევას და ანნა (რედენსი სტალინის ქვისლი იყო).

1872 წლის შემოდგომაზე სტალინი წყალტუბოში ჩამოდის დასასვენებლად. მას მაშინათვე ეახლა ბერია და ერთ-ერთ საუბარში ასეთი რამ უთხრა: ...„ვერ ვხედავ აუცილებლობას, რომ თქვენი დაცვა დაევალოს მოსკოვიდან მოვლინებულ თანამშრომლებს. ჩვენ მთლიანად ჩვენს თავზე ვიღებთ თქვენს დაცვას, მოგვენდეთ“. სტალინმა აღნიშნულზე თანხმობა განაცხადა. ბერიამ სასწრაფოდ სტალინის ორი ორეული გამონახა. როდესაც კეკე (სტალინის დედა) შვილის სანახავად ჩადის წყალტუბოში, ბერიამ იგი შეიყვანა იმ ოთახში, სადაც ორეულები ისხდნენ და მომღიმარი სახით მიმართა კეკეს: ...„ამოირჩიეთ თქვენი შვილი“. მშობელმა ეს ვერ შეძლო და პირჯვარი გადაიწერა. ამ დროს შემოდის თვითონ სტალინი და დედაშვილი ერთიმეორეს გადაეხვივნენ. კეკემ საყვედურით მიმართა შვილს: ...„როგორ მწყინს შვილო, რომ მღვდელი არ გამოხვედი“.

სტალინის ორეულებიდან ერთი საგანგებო დავალებით გაიგზავნა ბაქოში. ხოლო მისი დაბრუნების შემდეგ მეორე მიემგზავრება ერევანში. ისინი ხვდებოდნენ აქტივს და სათანადო აკურატულობით ასრულებდნენ სტალინის ყველა დავალებას. ნამდვილი სტალინი კი ამ დროს წყალტუბოში იმყოფებოდა.

წყალტუბოში ბალნეოლოგიური მკურნალობის კურსის დამთავრების შემდეგ სტალინმა დასვენება მიუსერაში გააგრძელა. აქ მან მოიწვია ძველი ბოლშევიკ-რევოლუციონერები მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ბუდუ მდივანი, მალაქია ტოროშელიძე, გერმანე მგალობლიშვილი, სერგო ქავთარაძე, ნესტორ ლაკობა, ისაკ ჟვანია, ქართველიშვილი, სუმბატოვი და სხვები. გაიშალა სუფრა, რომლის თამადობა ერგო ნესტორ ლაკობას. მან პირველად ადღეგრძელა სტალინი,. შემდეგ მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე და ა. შ. ბერია, როგორც ყველაზე ახალგაზრდა, ლაკობამ ბოლოსათვის მოიტოვა, როცა ჯერი მასზე მიდგა, ჭიქა სტალინმა აიღო და თქვა: ...„ამ პატარა ჭიქით პატარა და მატყუარა კაცს გაუმარჯოსო“. სტალინს მხედველობაში ჰქონდა ორეულების მოწყობა. ნათქვამს მან დასძინა: ...„ეს კაცი მომწონს, როგორც ჩანს, საკმაოდ განათლებულია, დიდი ენერგიისა და უნარის მქონედ მეჩვენება. ჩემის აზრით, იგი ღირსეულად გაუძღვება საქართველოს“. სტალინმა აქვე უყარა კენჭი, თუ ვინ ემხრობოდა მის წინადადებას. იქ მსხდომი 32 კაციდან 31-მა ხელი ასწია. ერთმა — ისაკ ჟვანიამ (მაშინდელმა ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა) თავი შეიკავა და განაცხადა: ...„ეს კაცი ნამეტანი ახალგაზრდააო“ (ეს თავშეკავება მას უფრო გვიან ძვირად დაუჯდა).

მეორე დღეს უკმაყოფილო მიხა ცხაკაია შედის სტალინთან და ეუბნება:

...„რატომ ეს ჩეკისტი დაგვისვი ცეკას მდივნად. ნუთუ საქართველოში ამ თანამდებობისათვის უფრო შესაფერისი პიროვნება არ შეიძლება მოიძებნოს?“ მაგრამ სტალინის არჩევანი შეუვალი იყო. ამის შემდეგ მიხა ცხაკაია დიდხანს არ დარჩენილა საქართველოში, იგი სამუდამოდ გადასახლდა მოსკოვში, ხოლო რაც შეეხება ისაკ ჟვანიას, იგი 1937 წელს რეპრესიის მსხვერპლი გახდა.

ნიშანდობლივია ის, რომ საქართველოს კპ(ბ) ცეკას პირველ მდივნად ბერიას დანიშვნისთანავე თითქმის ყველა რაიონში შეწყდა კოლექტივიზაციის საწინააღმდეგო გამოსვლები... როგორც ირკვევა, ამგვარ პროცესებს ბერია მთელი სიმკაცრით არ ებრძოდა და ამას ჩადიოდა შეგნებულად, რათა სტალინი განეწყო მაშინდელი ცეკას მდივნის სამსონ მამულიას წინააღმდეგ.

ბერიას პარტიულ სამუშაოზე გადასვლის შემდეგ საქართველოს პოლიტ-სამმართველოს (ГПУ) უფროსი გახდა ს. ა. გოგლიძე. მის მოადგილედ კი დაინიშნა შალვა წერეთელი.

საქართველოში კოლექტივიზაცია ჩქარი ტემპებით მიმდინარეობდა. თუმცა გლეხობის წინააღმდეგობას აქაიქ მაინც ჰქონდა ადგილი. 1934 წელს ნიკოლაევმა ცეცხლსასროლი იარაღით მოჰკლა კიროვი — ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

კიროვის მკვლელობაზე ძალიან მწვავედირეაგირა სტალინმა. ერთი ორად გაძლიერდა ჩეკას „მუშაობა“ და „სიფხიზლე“.

ლევ ტროცკი, რომელიც ბევრ რამეში არ ეთანხმებოდა ლენინს და ოპოზიციაში ედგა მას 1927 წელს გამართულ პარტიულ დისკუსიაში, დამარცხდა, რის შემდეგაც გაძევებული იქნა საბჭოთა კავშირიდან. იგი ამერიკაში ცხოვრობდა, მაგრამ ქვეყანაში დარჩა ბევრი მისი თანამოაზრე.

1935-37 წლებში ოფიციალურად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ადგილი ჰქონდა მასიურ დივერსიებს. ჩეკამ ამოქექა ძველი საქმეები. შერისხვა ემუქრებოდა არასაიმედო და ეჭვმიტანილ პირებს. მალე დაიწყო მასიური დაპატიმრებები. აირია ქვეყანა, გამხეცდნენ ადამიანები. ბევრმა ისარგებლა სიტუაციით და შეუდგა პირად ანგარიშსწორებას. მეზობელი აბეზღებდა მეზობელს. ცილს სწამებდა მას და აჭერინებდა. მთელს ქვეყანაში საშინელი ტერორი გამეფდა. სრული დატვირთვით მუშაობდა ე. წ. „ტროიკები“, რომელთაც მასობრივად გამოჰქონდათ სასიკვდილო განაჩენი.

გაგრძელება იქნება

შოთა რუსთველი

ვეფხისტყაოსანი

სასკოლო გამოცემა



თბილისი, 2002

„ვეფხისტყაოსანი“
სასკოლო გამოცემა

ქრონიკული მიმოხილვა, განმარტებები, კომენტარი და ლიტერატურული გარჩევა ნოდარ ნათაძის. რედაქტორი ალექსი ჭინჭარაული.
508 გვერდი, რბილი გარეკანი.

განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ სკოლისათვის

ფასი:
საფეიქრო ქსელში – 5,5 ლარი პლუს მაღაზიის დარიცხვა
საფეიქრო ქსელის გარეთ – 5,5 ლარი
ბითუმად ( 20 ცალი და ზევით, თითო შეკვრის მიწოდებით. შეკვრაშია 10 ცალი.) – 4 ლარი

საკონტაქტო მისამართები და ტელეფონები:
1. თბილისი, პუშკინის ქ. №5 (თავისუფლების მოედანი), II სართული, ბერიაშვილი
ორშაბათობით და ხუთშაბათობით 13 საათიდან 17 საათამდე. ტელ. 93-15-89
2. ..............................
3. ..............................

ექსპრეს-აუდიტ სერვისი

ლიცენზია №091;

გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურეობას ზოგად აუდიტში

1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
3. ქონების შეფასება-გადაფასება;
4. ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. №5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89

იყიდება ოროთახიანი ბინა დიღმის მასივში, V კვარტალი, მე-15 კორპუსი, I სადარბაზო, XI სართული.
ტელ: 52-26-40 ნინა

გამოვიდა წიგნი
„ძველი და თანამედროვე მხატვრობის ტექნოლოგია“
ყველაფერი ფერწერის ტექნიკის და ტექნოლოგიის შესახებ.

ანტიკვარული ავეჯის რესტავრაცია უმაღლესი ხარისხით
მსურველებმა დარეკეთ
ტ. 98-52-47 ზაური.

მთავარი რედაქტორი
მანანა ლობჯანიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი. თავისუფლების მოედანი. პუშკინის ქ. №5
გაზეთის ინდექსი 66447

შპს გაზეთი „საქართველო“
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
ტელ: 93-20-36

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.